ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 30 სექტემბერი, 2020 №205 (8469) ფასი: 60 თეთრი

რატომ გადაამოწმა გიორგი ლუბარეცმა „ვილა ალგეთის“ ლოკაცია თამარ ბაჩალიაშვილის გაუჩინარებიდან მე-4 დღეს

გვ.5

პროგრამისტი სასამართლოში დაიკითხა

„ოჭრიაშვილი და ჩოჩელი მერაბიშვილმა გადაიბირა“

გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ჩვენზე ამბობენ, არ არიან სანდო, შეიძლება, ბიძინასთან გადახტნენო“

„საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სოციალურ ამბოხს გამოიწვევს“

ლევან ალაფიშვილი: „თუკი ხელისუფლების სასარგებლო შედეგები იქნება დადებული, ეს არ ნიშნავს, რომ არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო. ეს იქნება პირდაპირი ნიშანი, რომ ქვეყანაში ოპოზიცია სუსტია“

გვ.3

„არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება „ოცნების“ ინტერესში უნდა იყოს“

გვ.3

ლევან ნატროშვილი: „არჩევნების მოახლოებასთან ერთად ტემპერატურაც მოიმატებს და ინციდენტებიც“

„31 ოქტომბრის არჩევნებზე გაცილებით მეტი კონტროლი იქნება და გაყალბებას ვერ გაბედავენ“

გვ.4

ბეჟან ნათელაშვილი: „საქართველოში სიტყვის თავისუფლება იზღუდება“

გვ.4

მარნეულში ნაციონალებმა და „ოცნებამ“ იჩხუბეს

დავით ჭიჭინაძე: „31 ოქტომბერს არც ერთი მხარე არ იქნება მომხრე, აღიაროს მეორე მხარის გამარჯვება“

გვ.2

შსს-ს თანამშრომლებს არჩევნების უსაფრთხო, თავისუფალ, სამართლიან და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად ტრენინგი უტარდებათ

გვ.5

ISSN 1987-9385

4 „ევროპულმა საქართველომ“ პარტიული სია წარადგინა

2 პრეზიდენტი ზურაბიშვილი: „საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სტაბილურობის წყაროა“

5 პროკურატურაში უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის საკითხზე გამოძიება მიმდინარეობს

6 ჩინეთში ბალის მასწავლებელს 25 ბავშვის მოწამვლისთვის სიკვდილი მიუსაჯეს

„ოქრიაშვილი და ჩოჩელი მერაბიშვილმა გადაიბირა“

მამუკა გამყრელიძე: „ჩვენზე ამბობენ, არ არიან სანდო, შეიძლება, ბიძინასთან გადახტნენო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ხელისუფლება გადავიდა ოპონენტებთან ანგარიშსწორებაზე, ადგილი აქვს დაშინებისა და მოსყიდვის მცდელობებს. ხელისუფლების მხრიდან კი ვისმენთ განცხადებებს, რომ ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციებს აქვს ადგილი. რას იტყვით თქვენ?

– ისედაც სუსტი ოპოზიციაა, განსაკუთრებით ეკონომიკურად, ასევე ძალიან ჭრელია და ხელისუფლების მხრიდან მასზე ასეთი სულელური ზეწოლის განხორციელება, უბრალოდ, ამორალურია. საარჩევნო პერიოდი დიდი ადამიანობითა და კაიკაცობით არ გამოირჩევა, მაგრამ ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ მე ველოდები ძალიან დიდ ბრძოლას. იქნება თანაბარი ბრძოლა და ასეთ დროს ხელისუფლება შეეცდება, მაქსიმალურად ჩართოს ყველა და ყველაფერი.

ის უკადრისი საქციელი, რომელიც მათ საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩაიდინეს, ჩემ თვალწინ ხდებოდა. ახლა კიდევ უარესი სიტუაციაა, ახლა ხელისუფლების ცვლილების მომენტია. ამიტომ ხელისუფლება შეეცდება, მაქსიმალურად რაღაც ისეთი გააკეთოს ზეწოლის, დაშინების, მოსყიდვის სახით. მე არ ველოდები, რომ ხელისუფლება რაღაცა წესიერ საქციელს ჩაიდენს.

– ოპოზიციაზე რას იტყვით?

– ოპოზიციას მე ვერ დავადანაშაულებ ვერაფერში, გარდა იმისა, რომ უფრო მეტი დანდობა მართებთ ერთმანეთის.

– დღეს ოპოზიცია კიდევ უფრო გამეტებით ლანძღავს ერთმანეთს. ეს სწორია?

– მოდით, ასე ვთქვათ, რომ ხელი მოეწერა ერთმანეთის თავდაუსხმელობის აქტს, რაც ძალიან კარგი მოვლენაა.

– „ევროპული საქართველოსთვის“ მიხეილ სააკაშვილი, როგორც ნაციმოძრაობის ლიდერი და პრემიერობის კანდიდატი, ყოვლად მიუღებელია.

– ეს დაპირისპირება მაინც პერსონალური მგონია და არა დაპირისპირება მთლიანად პარტიასთან. უფრო პერსონალური მომენტია ბოკერიას, მის მეუღლესა და, მეორე მხრივ, სააკაშვილს შორის. არ უნდა ავყვეთ ამას. თუ სიტუაცია ამ პერსონალურს არ გასცდება და არ დაიწყება რაღაცნაირად პარტიებს შორის დაპირისპირება, ძალიან კარგი იქნება.

– როგორც ჩანს, ბოკერიას მძიმედ ახსენდება სააკაშვილთან ქვეშევრდომობის პერიოდი.

– დიდი მეგობრობითა და ერთმანეთის მიმართ სიყვარულით რომ არ გამოირჩეოდნენ, ეს მაშინაც ცხადი იყო, ყველამ ვიცოდით. მათ შორის მუდმივად იყო ქიშპობა. იყო დაბრალება ერთმანეთზე. ერთიც და მეორეც ამბობდნენ ერთმანეთზე, დემოკრატიის პრინციპებს არ იცავსო. ყოველ შემთხვევაში, თბილი და ტკბილი ურთიერთობა მათ შორის არასდროს ყოფილა.

– ამბობენ, რომ ძალიან დაიძაბა სიტუაცია ბლოკ „ძალა ერთობა შიას“ საარჩევნო სიის ფორმირებასთან დაკავშირებით. თქვენ არ გაქვთ პრეტენზია, რომ იყოთ გამსვლელ ათეულში ან ოცეულში?

– არც 30-ეულზე მაქვს პრეტენზია და ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ პირადად არ ვმონაწილეობ ამ ბატალიებში. მშვიდად ვარ ძალიან და არც მაინტერესებს, რა და როგორ იქნება. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ისეთი სია იყოს, რომელიც ამომრჩევლის თვალს გაახარებს.

– სიურპრიზებს უნდა ველოდოთ?

– არა, რა სიურპრიზებს უნდა ველოდოთ, ძირითადად იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც არიან ნაციმოძრაობაში და ეს ახალი შემოერთებულები. ხომ ხედავთ, როგორი სიტუაციაც არის.

– ამ მაჟორიტარებს საკმაოდ მსხვილი კვოტა მისცეს. რატომ?

– გიკვირთ? არჩევნები ხომ დაკავშირებულია თანხებთან.

– ამიტომაც ადგილები გაიცვალა ფინანსებზე?

– „გაიყიდა სიყვარული წითელ თუმნიანებზეო“... დაახლოებით ასეა. მე ასე ვიტყოდი, აქ მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება სიაში და ვინ – არა. გამარჯვების შემთხვევაში ყველა იპოვის თავის ადგილს,

– თუმცა სერიოზული დულილი და უკმაყოფილებაა.

– რა თქმა უნდა, არის, მაგრამ მე ამ ყველაფერში არ ვმონაწილეობ და ამიტომ არ მაინტერესებს ეს დაპირისპირებები. მე ერთი ინფორმაცია მომდის მუდმივად და ყურს მჭრის...

– რა ინფორმაცია მოგდით?

– თურმე ზოგიერთები შეშფოთებას გამოხატავენ შიგნით გაერთიანებაში, მათ შორის ჩემი მისამართით, რომ ესენი არ არიან სანდო, შეიძლება, ბიძინასთან გადახტნენო. თქვე დალოცვილებო, ეს ხალხი წლების განმავლობაში ერთგულია თავისი პრინციპების და რანაირად წარმოუდგენია ვინმეს, რომ მე და ჩემი მეგობრები ოდესმე ბიძინასთან გადავხტებით?!

– თქვენ არა, მაგრამ, შესაძლოა, ბევრმა განაწყენებულმა, ვინც აღმოაჩენს, რომ სიაში არ არის, შეიცვალოს პოზიციები. უშვებთ ამას?

– არ ვიცი, ეს მათ სინდისზე იყოს. ვიმეორებ, გამარჯვების შემთხვევაში ყველა იპოვის თავის ადგილს, პარლამენტში იქნება ეს თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში. აქ ლაპარაკი სხვაზეა, რომ არ შეიძლება პრინციპების დავიწყება.

– თუ ვერ გაიმარჯვა ოპოზიციამ, დეპუტატობის შანსიც რომ ეკარგებათ?

– ნეტავ რით არის ასეთი მომხიბვლელი პარლამენტარობა, თუ დამარცხებული ხარ?! მე ამას ვერ ვიგებ. იმ ხელფასით?! შესაძლებელია, მაგრამ ხელფასი გირჩევნია თუ პრინციპები?! მე სულაც არ მსიამოვნებს, იქ ვიჯდე და კობახიძემ და მდინარაძემ ძალიან საწყენი და შეურაცხმყოფელი სიტყვები მითხრან, როგორც ეუბნებიან ოპოზიციაში მყოფ პარლამენტარებს. ძალიან მძაფრი რეაქცია მექნებოდა მე პირადად. ამიტომ ჯობია, ან გამარჯვებულ პარლამენტში ვიყო, ან საერთოდ არ ვიყო.

– როდის იქნება მზად სიის სრული ვერსია?

– პირველი ოქტომბერია ბოლო ვადა. სამდივნო სხდომა იქნება ნაციონალურ მოძრაობაში და, ალბათ, იქ ჩამოყალიბდებიან სიის საბოლოო სახეზე. მე დაზუსტებული ინფორმაცია არ მაქვს, სად და ვისთან ხდება სიის საბოლოო ვერსიაზე შეთანხმება.

– მიშა სააკაშვილთან გადიან კონსულტაციებს?

– გაივლიან, რა თქმა უნდა, რაღაც დონეზე. ყველა გავლენიან ადამიანს აქვს თავისი კვოტები ამ სიაში.

– ვანო მერაბიშვილი არ ჩანს. რამდენად ძლიერია მისი გავლენები და რამდენად დიდია მისი კვოტა ამ სიაში?

– რა თქმა უნდა, ის მონაწილეობს და ჩართულია კიდეც ამ პროცესში. ასე რომ არ იყოს, ნიკა მელია ხომ არ ახსენებდა მის გვარს. რა თქმა უნდა, მისი პოზიციაც ძლიერია. ცეზარ ჩოჩელი რომ მერაბიშვილთან ძალიან დაახლოებული პირი იყო ყოველთვის, ესეც ხომ ცხადია.

– სწორედ ვანო მერაბიშვილმა ხომ არ გადმოიბირა ეს მაჟორიტარები?

– ალბათ, ასეა. მე ამ პროცესებში მონაწილეობა არ მიმიღია. ერთი ვიცი, როდესაც ყველაზე ძალიან უჭირდა ამ პარტიას, მაშინ მე და ჩემმა მეგობრებმა გავუწოდეთ ხელი და ყველანაირად შევეცადეთ, გვერდში დავდგომოდით და ამ ორი წლის განმავლობაში ვიყავით მათთან. ასეთ დროს, როგორც მინიმუმ, ის არ უნდა გითხრან, რომ არასანდო ხარ.

– ამას ვინ ამბობს, ნაციმოძრაობის ლიდერები?

– არა, ამას პირველი პირები არ ამბობენ. არც ნიკა მელიასგან და არც გრიგოლ ვაშაძისგან მსგავსი სისულელე არ გამიგია. ეს მოდის უფრო საშუალო რგოლიდან, თუმცა არ არის სასიამოვნო მოსასმენი.

– უმძიმესი ფონია როგორც ეპიდემიოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ლარი საერთოდ ჩამოიქცა. საწინააღმდეგოდ ხომ არ შემოუბრუნდება ეს სიტუაცია „ქართულ ოცნებას“?

– მე მგონია, რომ გამარჯვების შანსი „ქართულ ოცნებას“ ძალიან ნაკლები აქვს, თუ რაღაც უკადრისს არ იკადრებს, რაც ლუკაშენკომ გააკეთა. თუ ასეთ გზას არ დაადგა, მას გამარჯვების შანსი აქვს ნული. გამარჯვებას ვგულისხმობ, თორემ, რა თქმა უნდა, პარლამენტში მოხვდებიან.

არც ოპოზიციურ პარტიებში აქვს ვინმეს იმის შანსი, რომ ერთპიროვნული გამარჯვება მოიპოვოს. ჩემი შეფასებით, ოპოზიციური კოალიცია უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში.

აი, იქ იქნება მერე სირთულეები, თუ იქნება. ვისურვებდი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ისევე ღირსეულად მიიღოს ეს დამარცხება, როგორც ნაციონალურმა მოძრაობამ გააკეთა, ხოლო ეკონომიკური და ეპიდემიური სიტუაცია ძალიან ცუდად იმოქმედებს „ქართულ ოცნებაზე“. ლარი მუდმივად იყო მათთვის ტკივილის საგანი, ხოლო ყოველთვის აპელირებდნენ ჯანდაცვის სისტემაზე, უფასო ჯანდაცვაზე, რომელიც ჩავარდა. სულ გვაძახებდნენ, დავიჭირეთ კოვიდსიტუაციაო და ვხედავთ, რაც ხდება. ჩაკეტეს ყველაფერი და ეკონომიკურად ჩამოაქციეს ქვეყანა. ჩაკლეს ტურისტული ბიზნესი და ამ დროს გაექცათ ეპიდსიტუაცია, რაც მოსალოდნელი იყო.

– ვირუსს ხელოვნურად ვერ შეაკავებ, მაინც აგიფეთქდება.

– რა თქმა უნდა. იცით ჩემი პოზიცია, კოვიდსკეპტიკოსების რიგებს წარმოვადგენ, მაგრამ ხელოვნურად ამას ვერ აიცილებ. ეს არის ვირუსი. ვირუსი კი ისეთი რაღაცაა, რომ უნდა გადაიტანო. ახლა ქვეყნის კიდევ ერთხელ ჩაკეტვა იქნება სრული კატასტროფა. ეს საბოლოოდ დააქცევს ქვეყანას.

ერთს დავამატებდი, ვაი იმ პრემიერს, რომელიც ამ არჩევნების შედეგად მოვა. ურთულესი პერიოდი ექნება. ახალ პრემიერს დახვდება დაცარიელებული ხაზინა, გაუფასურებული ლარი, შემდეგ თავს დაატყდება ზამთრის კრიზისები.

გულით თანავუგრძნობ იმ ადამიანს, რომელიც ასეთ დროს პრემიერობას ითავებს.

პრეზიდენტი ზურაბიშვილი: „საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სტაბილურობის წყაროა“

– ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები და საერთაშორისო დახმარებები ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი წყაროებია.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გაეროს 75-ე სესიის ფარგლებში გამართულ მაღალი დონის შეხვედრაზე განაცხადა.

მისივე განცხადებით, არც ერთ ქვეყანას არ შესწევს ძალა, მარტო გაუმკლავდეს პანდემიას.

– ეჭვი არავის ეპარება, რომ კოვიდ-19-ის პანდემიამ მთელ მსოფლიოში სავალალო სოციალური და ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, რაც ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ჩვენ კვლავ ვხედავთ კორონავირუსის შედეგებს; მილიონამდე დაკარგული სიცოცხლე, 400 მილიონზე მეტი დაკარგული სამუშაო ადგილი, მოგებისა და შემოსავლის მნიშვნელოვანი ვარდნა, ქვეყნების ეკონომიკების ნეგატიური ზრდა, გლობალური ვალების გასამმაგება.

იმ 75 წლის განმავლობაში, რომელსაც წელს ჩვენ აღვნიშნავთ, გაერო და საერთაშორისო საზოგადოება ასეთი კატასტროფის წინაზე არ აღმოჩენილა. შესაბამისად, თქვენი ინიციატივა არა მხოლოდ დროული, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიცაა. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ არცერთ ქვეყანას არ შესწევს ძალა მარტო გაუმკლავდეს ამ გამოწვევას. აუცილებელია, რომ ერთობლივად ვიპოვოთ არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსის ეფექტიანად გამოყენების გამოსავალი და გზები.

მსურს, მადლობა გადავუხადო ექვსივე სადისკუსიო ჯგუფს გაწეული შრომისა და შემოთავაზებებისათვის.

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ფულადი), გზავნილები და საერთაშორისო დახმარებები ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი წყაროებია. მე პირადად ვარ დაინტერესებული ქვეყნის განვითარების პროცესში დიასპორების აქტიურად ჩართვის საკითხით. დიასპორის ინვესტიციების მობილიზების მიზნით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად ახლო მომავალში ფართო ონლაინფორუმს ვატარებთ.

სწორედ ახლა უნდა გამოვიყენოთ ეს მომენტი და შევხედოთ არსებულ მდგომარეობას, როგორც შესაძლებლობას. სწორედ ახლაა დრო, რომ ნამდვილად ვისწრაფვოდეთ მეტად მდგრადი, ინკლუზიური და მწვანე ეკონომიკისა და საზოგადოებისაკენ. ახლა უნდა გადავდგათ სწორი ნაბიჯები, რადგან იძულებული ვართ, შევიცვალოთ.

მდგომარეობიდან გამოსვლა და რეკონსტრუქცია ფინანსურ რესურსებს მოითხოვს და მე მჯერა, რომ ფინანსური სისტემები ამ მიზნებს მოერგება. სახელმწიფოები, ცენტრალური ბანკები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები უკეთ არიან მომზადებული, რათა თავიანთ პორტფოლიოებში გააერთიანონ მდგრადი განვითარების მიზნები და პარიზის შეთანხმების მოთხოვნები, თუმცა კერძო და კორპორატიულ სისტემებს ჯერ კიდევ ასაღები აქვთ ეს პასუხისმგებლობა.

ეკონომიკური და სოციალური შედეგების უკეთ აღქმა, სამუშაო ადგილების შესაქმნელად საჭირო მექანიზმების შემუშავება, ფინანსურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე ღია წვდომა, განათლებისა და უნარების განვითარების მხარდაჭერა მხოლოდ საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობით მიიღწევა. მდგრადი ინვესტირების შესაძლებლობები უნდა ითვალისწინებდეს გარემოზე მორგებულ პროექტებს, რომლებიც ჩართულობის თანაბარ შესაძლებლობას აძლევს კაცებსა და ქალებს და პროექტის სიცოცხლისუნარიანობის გაზრდის მიზნით, შესაძლოა, კლასტერებზე გადანაწილდეს.

მხოლოდ ერთობლივი მუშაობითა და ძალისხმევით შევძლებთ აღდგენასა და აღორძინებას, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

დავით ჭიჭინაძე: „31 ოქტომბერს არც ერთი მხარე არ იქნება მომხრე, აღიაროს მეორე მხარის გამარჯვება“

– 31 ოქტომბერს არც ერთი მხარე არ იქნება მომხრე, აღიაროს მეორე მხარის გამარჯვება და პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ მშვიდობიანი სცენარი ვერ იქნება, რადგან ხელისუფლება დასამშვიდებლად არაფერს გვთავაზობს.

ამის შესახებ პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერმა დავით

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება „ოცნების“ ინტერესში უნდა იყოს“

ლევან ნატროშვილი: „არჩევნების მოახლოებასთან ერთად ტემპერატურაც მოიმატებს და ინციდენტებიც“

იაგო ნაცვლიშვილი

არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური ტემპერატურა მატულობს, რაც უკვე კარგად ნაცად მეთოდებში გადადის და ძალადობრივ ქმედებებში გადაიზარდა. ბოლო რამდენიმე დღეში უკვე არაერთი ინციდენტი მოხდა. 27 სექტემბერს ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ერომანეთს დაუბირისპირდნენ. გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარობის კანდიდატი კახა ოქრიაშვილი ამტკიცებს, რომ მათ მხარდამჭერებს თავს ჩაიხანაში დაესხნენ. შემდეგ იყო გლდანულაში მომხდარი ინციდენტი, როდესაც კორპუსიდან ქვები ესროლეს ნიკა მელიას. 28 სექტემბერს საღამოს კი „ევროპული საქართველოს“ აქტივისტს მარნეულში საარჩევნო ბანერის გაკვრის დროს ტირის თოფი ესროლეს.

ეს იმ ინციდენტების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ბოლო დღეებში მოხდა. როგორც ჩანს, ძალადობრივი ქმედებები კიდევ მოიმატებს. ამ საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პროგრამის მენეჯერი **ლევან ნატროშვილი** საუბრობს.

– ბოლო პერიოდში დაიძაბა საარჩევნო კამპანია და ვნახეთ ძალადობრივი ინციდენტებიც, განსაკუთრებით კი ბოლო 2-3 დღის განმავლობაში. რაზე მიგვანიშნებს საარჩევნო გარემო, როდესაც ისევ ის მანკიერი წრე შეიკრა, რომელიც წინა წლებში გვქონდა და ვინ არის ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი?

– რა თქმა უნდა, ინციდენტების რაოდენობა გაიზარდა, განსაკუთრებით – ძალადობრივის. ბოლო ორი კვირაა, რაც ეს ტენდენცია შეიმჩნევა და, რა თქმა უნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ახლოვდება არჩევნები და ველოდით, რომ ტემპერატურა მოიმატებდა და უფრო მეტი პრობლემა იქნებოდა. თუმცა აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ამაზე მოხდეს ადეკვატური რეაგირება შესაბამისი ორგანოების მხრიდან და ასევე პოლიტიკური პარტიების მხრიდანაც. ეს საჭიროა იმისათვის, რომ რაღაცნაირად მოხდეს ამ ინციდენტების შეჩერება.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ეკისრებათ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებმაც ეს ძალადობრივი ინციდენტები სწრაფად უნდა გამოიძიონ და პასუხისგებაში მისცენ შესაბამისი პირები. სხვა შემთხვევაში, უბრალოდ, კიდევ უფრო შეიძლება გაიზარდოს ასეთი ინციდენტების რაოდენობა. როდესაც ადეკვატური და სწრაფი რეაგირება ხდება ხოლმე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, მაშინ პრევენციული მექანიზმი უფრო ეფექტიანია და დარღვევები მცირდება.

– ამ ინციდენტებთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების რეაგირებას ხედავთ?

– რამდენადაც ვიცით, ყველა ინციდენტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. უბრალოდ, ყოველთვის პრობლემა ის არის ხოლმე და ალბათ ახლაც, რომ სწრაფად არ ხდება გამოძიება. რიგ შემთხვევებში ობიექტურად რთულია, ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა არის ცალკეული შემთხვევები, სადაც შესაძლოა კამერის ჩანაწერები არსებობდეს და, კონკრეტული პირების მიმართ თუ სწრაფად განხორციელდება რეაგირება, ეს იქნება სწორი. ამ შემთხვევებში საუბარი რთულია, რადგან ბოლო ორი კვირის ფაქტებია ძირითადად.

– პოლიტიკური ნების ნაკლებობაც ხომ არ იგრძნობა? იქიდან გამომდინარე, რომ არაერთი შემთხვევა გვახსოვს წარსულში, სადაც ეფექტიანი შედეგი არ დამდგარა. თუნდაც კორცხელის ინციდენტი რომ გავიხსენოთ, ესეც საკმარისია, რეალურად დაისაჯა ვინმე? ეს, პირიქით, დღევანდელი ვითარების წამახალისებელი ხომ არ არის?

– როგორც წესი, არის ხოლმე გარკვეული სანქციები გამოყენებული. წინა არჩევნებსაც თუ შევხედავთ და ამ არჩევნებზეც არის გარკვეული სანქცია გამოყენებული ერთ შემთხვევაზე. პოლიცია სასამართლოში შევიდა წვრილმანი ხულიგნობის მუხლით. თუმცა ეგ პრეტენზია ყოველთვის არის ხოლმე, რომ არ ხდება ამ მექანიზმების ადეკვატური გამოყენება და სანქციები არ იყო ადეკვატური, რა დარღვევაც იყო. ხშირად არსებობს ეჭვი, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობს, იმიტომ, რომ ძირითადად დარღვევები ხდება მმართველი პარტიის მხარდამჭერების მხრიდან. რა თქმა უნდა, არის ვარაუდი, რომ ვიღაცა მათ ხელს აფარებს.

ხშირ შემთხვევაში საზოგადოების დარწმუნება ვერ ხერხდება იმაში, რომ ეფექტიანად და სრულყოფილად ატარებენ გამოძიებას. იგივე გასულ არჩევნებზე გარკვეულ შემთხვევებზე გამოძიება საერთოდ არ დაწყებულა. მხედველობაში მაქვს ამომრჩევლის მოსყიდვისა და ამომრჩეველზე ზეწოლის სავარაუდო ფაქტები. ზოგიერთზე გამოძიება საერთოდ არ იყო დაწყებული, ზოგიერთზე კი გამოძიება დაიწყო და ისეთი შედეგით დასრულდა, რომელიც საზოგადოებისთვის სარწმუნო საერთოდ არ იყო. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა არსებობს.

– რამდენად ადეკვატური იყო ორშაბათს მმართველი პარტიის ბრიფინგზე გაჟღერებული განცხადებები? მათ, იმის ნაცვლად, რომ დაეგმოთ ძალადობა, პირიქით, ხელი გაიშვირეს ოპოზიციისკენ. ეს როგორ ფასდება?

– ალბათ, ბოლნისის ინციდენტთან დაკავშირებით საუბრობთ. ამ შემთხვევაშიც გასაგებია მმართველი პარტიის პოზიცია. შესაძლოა, რომ სხვა პარტიის მხარდამჭერები და აქტივისტებიც ძალადობენ და ასეთი ფაქტებიც დაფიქსირებულა, როდესაც ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერების მხრიდანაც ხდება ხოლმე ასეთი ფაქტები.

– თუმცა მინიმუმ ის ხომ მაინც უნდა ეთქვათ, რომ მათთვის მიუღებელია ძალადობა, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ის ჩადენილი?

– ალბათ, გმობენ კიდეც, მაგრამ, რა თქმა უნდა, მმართველ პარტიას აკისრია მეტი პასუხისმგებლობა. ცუდია, რომ ისინი აქცენტს იმაზე აკეთებენ, თითქოს ვიღაცამ პროვოკაცია მოუწყოთ თუ აქეთ დაესხნენ თავს. ასეთი პოზიციები იყო და არა იმაზე, რომ უნდა დაიგმოს ასეთი ფაქტები და უნდა მოხდეს სწრაფი გამოძიება. ამავე დროს, უნდა იმუშაონ პროაქტიურად და მისცენ ინსტრუქციები პარტიას, რომ არც ერთ შემთხვევაში არ მიიღონ მონაწილეობა ასეთ ინციდენტებში, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ვიღაცა პროვოკაციას მოუწყობს. სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ, რომ ასეთი რეაგირება აქვს მმართველ პარტიას. მათ აქვთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რადგანაც ხელისუფლებაში ისინი არიან და სამართალდამცავ ორგანოებზეც საკმაოდ დიდი გავლენა აქვს მმართველ პარტიას.

– რა მოლოდინები გაქვთ არჩევნებთან დაკავშირებით? ელოდებით თუ არა, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად ტემპერატურა კიდევ უფრო გაიზრდება და მოიმატებს ასეთი ინციდენტები?

– თავისთავად, როდესაც მოახლოვდება არჩევნები, ალბათ, ასეთი ინციდენტების გაზრდის ტენდენცია იქნება. ამიტომ ვთქვი, რომ იმედს ვიტოვებთ, მომხდარ ინციდენტებზე ადეკვატური რეაგირება იქნება სამართალდამცავების მხრიდან. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მომავალში თუნდაც გახშირებული შემთხვევები აღარ იყოს და არ გაიზარდოს ასეთი ინციდენტები ან უფრო ნაკლები პრობლემის მქონე ინციდენტები იყოს და არ იყოს მასობრივი ძალადობრივი შემთხვევები.

რა თქმა უნდა, მოლოდინი გვაქვს, რომ რაოდენობა გაიზრდება, შესაბამისად, ტემპერატურაც აიწევს. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ იმოქმედებენ სხვადასხვა ჩართული მხარეები. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა კი აქაც ისევ ხელისუფლებას ეკისრება. მათ ინტერესებში უნდა შედიოდეს, რომ მშვიდ გარემოში ჩატარდეს არჩევნები და მერე პრობლემები არ იყოს არჩევნების შედეგების აღიარებასთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიების ან სხვა ჩართული მხარეების მხრიდან. იმედს ვტოვებთ, რომ ყველა მხარე გაიაზრებს ამას.

– ყველა მხარეში ვის გულისხმობთ, მათ შორის ოპოზიციასაც?

– ყველას ვგულისხმობ. ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია: მმართველ პარტიას, ოპოზიციას, ხელისუფლების იმ ორგანოებს, რომლებიც ატარებენ არჩევნებს ან სხვადასხვა ფორმით არიან ჩართული, საგამოძიებო და სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებსაც ევალებათ, მიუკერძოებლად და სწრაფად გამოიძიონ მომხდარი შემთხვევები, ანუ ყველას აქვს თავისი პასუხისმგებლობა, თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ ამ შემთხვევაში.

„საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სოციალურ ამბოხს გამოიწვევს“

ლევან ალაფიშვილი: „თუკი ხელისუფლების სასარგებლო შედეგები იქნება დადებული, ეს არ ნიშნავს, რომ არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო. ეს იქნება პირდაპირი ნიშანი, რომ ქვეყანაში ოპოზიცია სუსტია“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, „ქართული ოცნების“ წევრი, დეპუტატი რევაზ არველაძე ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღებას ითხოვს. მას ობიექტური გარემოება მოჰყავს მიზეზად. შეიძლება, ხელისუფლების პოზიციას ახმოვანებდეს ამ შემთხვევაში უმრავლესობის წევრი და, თუ მართლაც გამოცხადდება საგანგებო მდგომარეობა, რა პროცესს მივიღებთ წინასაარჩევნოდ?

– რატომ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა გაზაფხულზე და რატომ არ ცხადდება ის ახლა, როდესაც რიცხვები გაორმაგებულია? ამ კითხვას პასუხი დაავადებათა კონტროლის ცენტრმა გასცა. როგორც ჩანს, სიტუაციის კონტროლი და დაჭერა უკვე შეუძლებელია. მისაღებია, არ არის მისაღები – ეს სხვა თემაა. ფაქტია, ეპიდემიოლოგებს არგუმენტი აქვთ.

რაც შეეხება უშუალოდ კონსტიტუციაში არსებულ ჩანაწერს: საგანგებო მდგომარეობის დროს ქვეყანაში არჩევნები არ ტარდება. შესაბამისად, თუ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდება, რა თქმა უნდა, ეს ავტომატურად არჩევნების გადადებას გამოიწვევს.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან ერთად, ასევე შეიძლება შეუზღუდოს კონსტიტუციით გარანტირებული სხვა არაერთი უფლებაც. მაგალითად: გადაადგილების თავისუფლება, შრომის უფლება, შეკრების უფლება. ხელისუფლებას შეუძლია, ეს ყველა მნიშვნელოვანი უფლება შეზღუდოს და გარკვეული რეგულაციები დააწესოს ან საერთოდ აკრძალოს. თუმცა აუცილებელია მიზანი, რა მიზნით კეთდება ეს ყველაფერი.

მთავრობა დღესაც იყენებს მის ხელთ არსებულ გარკვეულ ბერკეტებს. არსებობს კანონი, მხედველობაში მაქვს ის ცვლილებები, რომლებიც „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“ კანონში შევიდა და რომელიც წლის ბოლომდე მოქმედებს. მე რომ მკითხოთ, ამ კანონის ნაწილს კონსტიტუციასთან პრობლემები აქვს, რომელიც შეეხება ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს. თუმცა ამ შემთხვევაში ეს კანონი იმიტომ მოვიყვანე მაგალითად, რომ მეთქვა, ხელისუფლებას დღესაც აქვს საშუალება, ყოველგვარი საგანგებო მდგომარეობის შემოღების გარეშე იმოქმედოს.

თუმცა, არ გამოვრიცხავ, პოლიტიკური მოცემულობის გათვალისწინებით მართლაც ითამაშოს ხელისუფლებამ და ამ რისკზე წავიდეს.

– რომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს?

– დიახ! არჩევნები გადადოს, რაც, ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილება არ იქნება არა მხოლოდ ქვეყნისთვის ზიანის მიყენების კუთხით, არამედ თვითონ მიიღებენ უფრო მეტ ზიანს. ამდენად, არა მგონია, ეს გონივრული გადაწყვეტილება იყოს, მით უმეტეს, ხანგრძლივად საგანგებო მდგომარეობას ვერც გამოაცხადებენ და ვერც გადაავადებენ ამ არჩევნებს, მით უფრო, ისეთი პრობლემების წინაშე დგას ქვეყანა, პრაქტიკულად, ეკონომიკის დახურვა მათ სოციალური ამბოხის წინაშე დააყენებს და სახელმწიფოს შეურყევს ძირს.

– ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ არა ახლა, არამედ 31 ოქტომბრის შემდეგ გამოაცხადებს, რათა ქუჩაში არ გავიდეს ოპოზიცია.

– და რა, მეორე ტურებს არ ჩაატარებს?! საფრანგეთმა ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურები გადადო, მაგრამ კორონავირუსი ვერ აღმოჩნდა მაშველი რგოლი. მმართველმა პარტიამ ადგილობრივი არჩევნები წააგო და საკუთარი დამარცხების გაფორმება მაინც მოუხდა. ამდენად, არჩევნების გადადება არ ნიშნავს არჩევნები მოგებას.

მიუხედავად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა, მაინც რჩება გარკვეული უფლებები, რომლებსაც ვერავინ შეზღუდავს. მხედველობაში მაქვს კონსტიტუციური უფლებები, რომლებიც სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისაა. სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა არავის შეუძლია არც ერთ ეტაპზე და არც ერთ პერიოდში. მე მაინც არა მგონია, რომ ეს ეფექტური გზა იყოს ხელისუფლების მხრიდან და აქედან სარგებელი ნახოს.

ერთი რამ, რაც დანამდვილებით შემიძლია ვთქვა ამ სცენარის განვითარების შემთხვევაში, შემდეგია: ჩვენ, საზოგადოება, ჩვენი სახელმწიფო და მისი ხვალინდელი დღე სერიოზულ ზიანს მიიღებს. მისი დემოკრატიულობის ხარისხი სერიოზული კითხვის ქვეშ დადგება. ამაზე კი ყველა ერთად უნდა დავფიქრდეთ, რადგან ჩვენ, თითოეული მოქალაქე, პასუხს ვაგებთ ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი შვილების მომავლის წინაშე.

– რას ელით ამ არჩევნებისგან?

– ნებისმიერი არჩევანი, რომელიც იქნება ობიექტურად თავისუფალ გარემოში გამოხატული, როგორიც არ უნდა იყოს ის, ყველა მისაღები და პატივსაცემია, თუმცა, ერთი კია, თუკი ხელისუფლების სასარგებლო შედეგები იქნება დადებული, ეს არ ნიშნავს, რომ არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო. ეს იქნება პირდაპირი ნიშანი, რომ ქვეყანაში ოპოზიცია სუსტია, რომ დანარჩენმა პოლიტიკურმა ძალებმა წააგეს არჩევნები. ეს ის შემთხვევა იქნება, როდესაც ხელისუფლება წარმატებულ შედეგს საკუთარი სიძლიერიდან გამომდინარე კი არ აყენებს, არამედ ოპონენტების სისუსტე აყენებს ამ შედეგს.

ვუყურებ წინასაარჩევნო პერიოდს, ვაანალიზებ ოპოზიციური სპექტრის ქმედებებს და ამ ფონზე ვხედავ, რომ ეს განცდა კიდევ უფრო საფუძვლიანი ხდება, თუმცა აქ არის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მოცემულობა, ზოგადად პარტიული განუვითარებლობა, არადემოკრატიული პროცესები პარტიულ სტრუქტურაში და ა.შ.

დავით ჭიჭინაძე: „31 ოქტომბერს არც ერთი მხარე არ იქნება მომხრე, ალიაროს მეორე მხარის გამარჯვება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ჭიჭინაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

მისივე თქმით, არახალია, რომ როდესაც ხელისუფლება კარგავს რეიტინგს, ის იწყებს ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას.

ამასთან, ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება“ გავსებულია ნაციონალური მოძრაობის წევრებით.

– ხალხი, რომელიც იბრძოდა უსამართლობის წინააღმდეგ 2012 წელს, დღეს ისევ ის ხალხი იბრძვის 2012 წლის ღირებულებების დასაცავად და „ქართული ოცნება“ პრაქტიკულად გავსებულია ნაციონალური მოძრაობის იმ ხალხით, რომელსაც ჯოხისა და ქვის მეტი არაფერი უნახავს ცხოვრებაში. აქედან გამოსავალი არის იმაში, რომ 2020 წლის 31 ოქტომბერს უნდა გაკეთდეს შესაბამისი არჩევანი, რომ ამ ქვეყანაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლება რეალურად უნდა დასრულდეს, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

ბეჟან ნათელაშვილი: „31 ოქტომბრის არჩევნებზე გაცილებით მეტი კონტროლი იქნება და გაყალბებას ვერ გაბედავენ“

„საქართველოში სიტყვის თავისუფლება იზღუდება“

მარიამ მჭედლიშვილი

ხომ არ გადაიფარება საქართველოს მოახლოებული პარლამენტის არჩევნები მთიანი ყარაბაღის თემით? რატომ არ გამოვა საქართველოში ზედიზედ მესამე ვადით ხელისუფლებაში დარჩენა? ვინ როგორ ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას? რა გამოაშკარავდა თამარ ბაჩალიაშვილის საქმით? ვინ აბრალებს სექსისტურ გამონათქვამებს შალვა ნათელაშვილს? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრ ბეჟან ნათელაშვილს.

— მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების პრობლემის მიმართ. მთიან ყარაბაღში რთული სიტუაცია საომარ ქმედებებში გადაიზარდა. თქვენი აზრით, ამის გამო ხომ არ მოდუნდება საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება საქართველოს საპარლამენტო არჩევნების მიმართ?

— უსაფრთხოების პრობლემებს გაშუქებისას შეიძლება მეტი დრო დაეთმოს, თუმცა ჩვენი არჩევნები მაინც იქნება ყურადღების საგანი. საქართველო არის აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, ასევე ევროსაბჭოს, ევროკავშირის, სხვა დასავლური სტრუქტურების, ევროპის სახელმწიფოების პარტნიორი. ამის გამო საქართველო და აქ მიმდინარე პროცესები დასავლეთისთვის პრიორიტეტია. 31 ოქტომბრის არჩევნებს დიდი ყურადღება მიექცევა. გაზულუქებულ „ქართულ ოცნებას“ არ მიეცემა იმის ფუფუნება, რომ თავის ნებაზე ჩაატაროს ეს არჩევნები.

— ბოლო დღეებში ბევრი ამბობს, რომ აქამდე მიმდინარე მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი წინასაარჩევნო კამპანია ძალადობრივ ფორმებში გადაიზარდა. ამ ძალადობრივი ინციდენტების ობიექტურად გამოძიების იმედი გაქვთ?

— არა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ამ ინციდენტებს ობიექტურად არ გამოიძიებს, თუმცა ეს მის გამარჯვებას არ ნიშნავს. 31 ოქტომბრის შემდეგ დღევანდელი მმართველი პარტიის მმართველობა დამთავრდება. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ქართული ოცნების“ ორი ვადა სრულდება. უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, დემოკრატიულ სამყაროში ზედიზედ მესამე ვადით არავინ მოდის. ეს დემოკრატიული ტრადიციაა. ივანიშვილის საქართველოში მიდის პუტინიზაცია და ცხადია, პუტინს პუტინიზაციის გაგრძელების სურვილი აქვს. თვითონ ხომ დაიმკვიდრა თანამდებობა სიკვდილამდე!

— ამისათვის პუტინს ქვეყნის კონსტიტუციის გადაკეთება მოუხდა.

— დიახ. საქართველოშიც უნდა, რომ პრემიერად დიდი ხნით ჰყავდეს თავისი კადრი. პუტინი და მისი რეჟიმი არის ოთხოზორიას, ანწუხელიძის, ტატუნაშვილისა და ასეული ჩვენი მოძმის მკვლელი. საქართველომ თავი უნდა დააღწიოს ამ რეჟიმს და დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ ისტორიულ მდგომარეობას.

— ბუნებრივ მდგომარეობაში რას გულისხმობთ?

— დასავლეთის ნაწილად ყოფნას. საქართველო ყოველთვის იყო დასავლეთის წამყვანი შემადგენელი, ამ ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი უძველესი სახელმწიფო. საქართველო არ შეეგუება რუსეთის ოკუპაციას, საკუთარი მოქალაქეების გატაცებას კონფლიქტის ზონებიდან, მათ დახოცვას, მათი სახლ-კარის შემოღობვას, ბორდერიზაციას. ამიტომ ეს საპარლამენტო არჩევნები ჩვეულებრივი არჩევნები არ არის. აქ წყდება ქვეყნის ბედი.

— თქვენ საქართველოს პუტინიზაცია ახსენეთ და რა გარანტია გაქვთ, რომ არადემოკრატიული ხელისუფლება დემოკრატიულ და თავისუფალ არჩევნებს ჩაატარებს?

— ამის გარანტიაა დიდგორი, შამქორი, ხრესილი, სხვა დიდი ბრძოლები და გამარჯვებები. ჩვენი გენეტიკური კოდი არ მოგვცემს რუსეთის უღელქვეშ ყოფნის უფლებას. ქართველი კაცი ოკუპაციასა და მავთულხლართების გადმოწევას დიდხანს არ მოითმენს და ვერც ცუდ ხელისუფლებას შეეგუება. ხომ გახსოვთ, შევარდნაძის დროს კორუფციამ გადაჭამა ქვეყანა და ხალხი ამას არ შეეგუა. ასევე საზოგადოებამ არ მოითმინა ძალადობა შემდეგი ხელისუფლების დროს. ახლა, ივანიშვილის ხელისუფლებისას, ძალადობაც არის, კორუფციაც (განსაკუთრებით, მაღალ ეშელონებში) და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაც.

— სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა?

— დიახ. საქართველოში სიტყვის თავისუფლება იზღუდება. აბა, დეპუტატობის კანდიდატ ნიკა მელიას რომ მაღალსართულიანი კორპუსიდან ქვებს დაუშენენ, ეს სიტყვის ჩახშობა არ არის?!

— ეს უარესია.

— მართლაც, ღმერთმა დაიფარა იქ მყოფები, რომ ქვებმა არავინ დააზიანა და არც დაასახიჩრა. ეს მოხდა ახლად გახსნილ სკვერში. გლდანულას ამ სკვერში წინა დღეებში „ქართული ოცნების“ დროშები ფრიალებდა. ბიუჯეტის ფულით გააკეთეს სკვერი და პარტიული დროშები გამოფინეს.

— ოპოზიციას აქვს მასალები იმის შესახებ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისას „ქართულმა ოცნებამ“ მიიწერა ლეიბორისტების, ასევე ნინო ბურჯანაძისა და ირაკლი ალასანიას პარტიების ხმები. ფიქრობთ, რომ ეს არ გამეორდება?

— ასეთი რამ მართლაც მოხდა 2016 წელს. მაშინ მარტო „ოცნებას“ კი არა, მის სატელიტებსაც მიუთვალეს ჩვენი ხმები. ასეთ რამეს ახლა გამოვრიცხავ. 31 ოქტომბრის არჩევნებზე გაცილებით მეტი კონტროლი იქნება. გაყალბებას ვერ გაბედავენ. მესამე ვადაზე უკვე ვილაპარაკე. გარდა ამისა, ეს ხელისუფლება გარეულია ბევრ დანაშაულში. მას ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაულები ყველა სფეროში. ბევრი რამ მეტყველებს იმაზე, რომ სიფრიფანა გოგოს, თამარ ბაჩალიაშვილს, თავი არ მოუკლავს. ჩვენ გვიმტკიცებენ, რომ მან თავი მოიკლა. ამზეურებენ ჩანაწერს, სადაც ის ნაღვლიანია, მაგრამ არ გვაჩვენებენ იმ მონაკვეთს, სადაც ამბობს, რომ ბედნიერია. ეს გოგო მოკლეს. არ მესმის, როგორ გაიმეტეს! ახლა დანაშაულს ფარცხავენ. ერთადერთი, ვისაც შეუძლია დანაშაულის მიჩქმალვა და გაყალბება, არის ბიძინა ივანიშვილი. სხვები მისი დავალების გარეშე ამას ვერ გაბედავდნენ. არ მესმის, ამის შემდეგ როგორ უნდა შემოხაზოს ადამიანმა 41!

— ამ დღეებში თქვენი პარტიის ლიდერს, შალვა ნათელაშვილს, სექსისტური განცხადებები დასდეს ბრალად. თქვენ ამაზე მძაფრი რეაქცია გქონდათ. რაიმე სანქციაც ხომ არ დაუწესეს?

— არა, რა სანქცია! ერთმა საადგენტომ წაუყენა ეს პრეტენზია შალვა ნათელაშვილს. წერილი ხელმოწერილი არ იყო. ეს სასაცილო და აბსურდული განცხადებაა. შალვა ნათელაშვილმა წარადგინა რამდენიმე ქალი კანდიდატი საკრებულოების გამოკლებული წევრების ნაცვლად და ისინი კომპლიმენტებით შეამკო. როცა ეს სიტყვები თქვა, ამ დროს სცენაზე ერთი ახალგაზრდა ქალი ამოდიოდა. ის ახლა ძალიან პოპულარული გახდა. ვინც მას სექსისტური განცხადებები დააბრალა, ბარემ, კლასიკოს მწერლებსაც მისდგეს და ამოთხაროს პანთეონიდან ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის ძვლები. შოთა რუსთაველის საფლავი არ ვიცით, თორემ ჯერი მასზეც მიდგებოდა.

მარნეულში ნაციონალებმა და „ოცნებამ“ იჩხუბეს

გუშინ, 29 სექტემბერს, მარნეულში „ოცნებისა“ და ნაციონალების წარმომადგენლებს შორის ჩხუბი მოხდა.

„მთავარის“ ცნობით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის წინ აქციას მართავდნენ, როდესაც მათ „ქართული ოცნების“ წევრები დაესხნენ თავს.

აქციის მიზეზი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამირან გიორგაძის მიერ წევრების თვითნებურად არჩევა იყო. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, დაპირისპირებაში გიორგაძეც მონაწილეობდა.

— გვაგინებდნენ, ფიზიკურად გაგვისწორდნენ... ეს იყო ივანიშვილის დაგეგმილი დაპირისპირება, ზონდერები გამოგვიგზავნა საჩხუბრად. ამ ხალხთან ერთად გავიზარდეთ, მაგრამ იმდენს ვერ ხვდებიან, რომ ხვალ ჩვენ ისევ ერთად უნდა ვიცხოვროთ ამ რაიონში. ვითხოვთ, მშვიდობიანად ჩატარდეს აქციები, — თქვა აქციის მონაწილემ.

ინციდენტი „ოცნებამ“ სხვანაირად შეაფასა.

— კრიმინალური და მავნებელი ძალის, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან პროვოკაციები და ძალადობა არ წყდება, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობის პარტიული აქტივის წარმომადგენლები მივიდნენ ცესკოს საოლქო კომისიის შენობასთან, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც არის „ქართული ოცნების“ შტაბი, საიდანაც მძიმე შეურაცხყოფის ფონზე აპირებდნენ მმართველი პარტიის შტაბის წევრების პროვოკაციაზე წამოგებას.

— ცესკოს საოლქო ორგანიზაციის შენობაში შეუშვეს მათი აქტივისტი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ნაციონალური მოძრაობიდან, ეს პირი იდენტიფიცირებულია და შეგნებულად არ ვამბობ სახელსა და გვარს, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და მაისური შემოახია ცესკოს თანამშრომელს, რასაც მოჰყვა მცირე ფიზიკური დაპირისპირება. შენობასთან შეკრებილმა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა და აქტივისტებმა აღნიშნულზე დაიწყეს ხმაური და სიტყვიერი შეურაცხყოფა სიტუაციის თავიანთ სასარგებლოდ გამოსაყენებლად, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

„ევროპულმა საქართველომ“ პარტიული სია წარადგინა

„ევროპულმა საქართველომ“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პარტიული სია წარადგინა.

როგორც პარტიის ლიდერმა დავით ბაქრაძემ საპარლამენტო გუნდის პრეზენტაციაზე განაცხადა, სიაში მათი წარმომადგენლები რიგითობის მიხედვით არ არიან გადანაწილებული, რაც ნიშნავს, რომ თავად ამომრჩეველი გადაწყვეტს, ვინ შევიდეს პარლამენტში.

პარტიის გუნდს წარმოადგენენ:

გიგი უგულავა, ტარიელ ნაკაიძე, გოჩა გურგუჩიანი, ლევან თარხნიშვილი, ზურაბ ჩილინგარაშვილი, არსენ კარაპეტიანი, ახმედ იმამყულიევი, ირინე აფხაზავა, გიორგი კანდელაკი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, მაია კაციტაძე, გიორგი ღვინიაშვილი, სერგო რატიანი, ელენე ოზაშვილი, მალხაზ პატარაია, ირაკლი კიკნაველიძე, მარიამ რამინაშვილი, ოთარ კახიძე, ირაკლი აბესაძე, ლელა ქებურია, გიგა ბოკერია, აკაკი ბობოხიძე, ნინო გოგუაძე, ზაზა კედელაშვილი, ზურაბ ბუცხრიკიძე, ირმა ნადირაშვილი, გიგი წერეთელი, სერგი კაპანაძე, ხათუნა გოგორიშვილი, არმაზ ახვლედიანი, ელენე ხოშტარია, შალვა შავგულიძე და დავით ბაქრაძე.

მე-9 მოწვევის პარლამენტი დღეს ბოლო პლენარულ სხდომას გამართავს

ამით ის მუშაობას დაასრულებს

საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტი მუშაობას ასრულებს. საკანონმდებლო ორგანოს მოქმედი შემადგენლობით ბოლო პლენარული სხდომა დღეს, 30 სექტემბერს გაიმართება.

რეგლამენტის თანახმად, პარლამენტმა პლენარული სხდომების გამართვა არჩევნებამდე ერთი თვით ადრე უნდა შეწყვიტოს.

მე-9 მოწვევის პარლამენტი მუშაობას 2016 წლის 18 ნოემბერს შეუდგა. საკანონმდებლო ორგანომ 4 წლის განმავლობაში ორი თავმჯდომარე გამოიცვალა.

თავდაპირველად პარლამენტს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კობახიძე ხელმძღვანელობდა, თუმცა 2019 წლის ივნისის მოვლენებისა და ე.წ. გავრილოვის ღამის შემდეგ მან თანამდებობა დატოვა და პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი მმართველი გუნდიდან არჩილ თალაკვაძემ გადაიბარა.

მე-9 მოწვევის პარლამენტმა მიიღო არაერთი კანონპროექტი, რომელთა შორისაა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებები, რითაც ქვეყანა დიდწილად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადავიდა.

გიორგი გახარია ბრიუსელში ევროპარლამენტის პრეზიდენტს შეხვდა

გუშინ, 29 სექტემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ევროპარლამენტის პრეზიდენტ დავიდ-მარია სასოლის შეხვდა, სადაც საქართველოს ევროინტეგრაციის დღის წესრიგის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილა და ხაზი გაესვა ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მთავრობის პრესსამსახურიდან აცნობეს, შეხვედრისას აღინიშნა საქართველოს წარმატება პანდემიასთან ბრძოლის მიმართულებით და ამ თვალსაზრისით ხაზი გაესვა ევროკავშირის მიერ გაწეულ მნიშვნელოვან დახმარებას.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ინსტიტუციური გაძლიერებისკენ მიმართულ რეფორმებს და განსაკუთრებული ყურადღება ბოლოდროინდელ საკონსტიტუციო ცვლილებას, საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, დაეთმო, რაც მეტად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას გულისხმობს და კიდევ უფრო ზრდის ქვეყნის დემოკრატიზაციის ხარისხს.

გარდა ამისა, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, სადაც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ არჩევნები თავისუფალ, სამართლიან და გამჭვირვალე გარემოში ჩატარდება.

გიორგი გახარიას განცხადებით, საქართველოს მთავრობა მიესალმება და იწვევს დამკვირვებლებს ევროპარლამენტიდან და სრულად უზრუნველყოფს მათ საქმიანობას უსაფრთხო გარემოში.

„საუბარი შეეხო აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ახალი ინიციატივების განხორციელების მნიშვნელობას, რადგან საქართველო, როგორც ასოცირებული პარტნიორი, იმსახურებს მიდგომას პრინციპით „მეტი მეტისთვის“.

შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე, მიმდინარე ბორდერიზაციის პროცესსა და ჰუმანიტარულ სირთულეებზე, რაც აფერხებს განვითარებას. დავიდ-მარია სასოლიმ კიდევ ერთხელ დააფიქსირა ევროპარლამენტის უწყვეტი და მტკიცე მხარდაჭერა როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ისე ქვეყნის ევროინტეგრაციისა და დემოკრატიული განვითარებისადმი.

ევროპარლამენტის პრეზიდენტთან შეხვედრის დასასრულს

მთავრობის მეთაურმა ევროპარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში სამახსოვრო ჩანაწერი გააკეთა“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

რატომ გადაამოწმა გიორგი ლუბარეცმა „ვილა ალგეთის“ ლოკაცია თამარ ბაჩალიაშვილის გაუჩინარებიდან მე-4 დღეს

პროგრამისტი სასამართლოში დაიკითხა

გუშინ, 29 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში თამარ ბაჩალიაშვილის საქმეზე პროგრამისტი გიორგი ლუბარეცი მაგისტრი მოსამართლის წინაშე დაიკითხა.

როგორც აღნიშნული საქმის პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ დაკითხვის დასრულების შემდეგ განაცხადა, გიორგი ლუბარეცს „ვილა ალგეთის“ ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია ბაჩალიაშვილის გაუჩინარებიდან 4 დღის შემდეგ ჰქონდა გადამოწმებული, შესაბამისად, გამოძიებას აინტერესებდა, თუ რა მიზნით გადაამოწმა მან ხსენებული ლოკაცია.

– ლოკაცია, რომელსაც ჟურნალისტები „ვილა ალგეთს“ უწოდებთ, პირს, რომელიც მოწმედ დავკითხეთ, გადამოწმებული ჰქონდა 2020 წლის 22 ივლისს, შესაბამისად, დაისვა კითხვები, რატომ, რა მოტივაციითა და რისთვის გადაამოწმა ხსენებული ლოკაცია, – განაცხადა ლაშა კოტრიკაძემ.

გიორგი ლუბარეცის უფლებადამცველ ვანო ჩიტაშვილის განცხადებით, გამოძიება ფიქრობდა, რომ „ვილა ალგეთის“ შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს ლუბარეცმა მიაწოდა, რაც მისმა დაცვის ქვეშ მყოფმა უარყო.

– დღეს გიორგი დაიბარეს მოწმის სახით. ძირითადი შეკითხვები შეეხებოდა, თუ რა კავშირი ჰქონდა თამარ ბაჩალიაშვილის საქმესთან, რა ინფორმაციას ფლობდა მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და რა ახალი ინფორმაციის მიწოდება შეეძლო გამოძიებისთვის ამ საქმის ირგვლივ.

გიორგი არის პროგრამისტი და, როდესაც თამარ ბაჩალიაშვილი გაუჩინარდა, რუკებზე ეძებდა სხვადასხვა ლოკაციას, გზებს, სადაც შეიძლებოდა, თამარის კვალი წასულიყო. ერთ-ერთი ასეთი ლოკაცია იყო „ვილა ალგეთის“ ტერიტორია და აინტერესებდათ, ფლობდა თუ არა ინფორმაციას ამ კონკრეტული ადგილის შესახებ, თუ ეს იყო მხოლოდ შემთხვევითობა, – განაცხადა ვანო ჩიტაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, პროკურორის კითხვებზე გიორგი ლუბარეცმა ამომწურავი პასუხები გასცა, ამიტომ მისი ხელახალი დაბარება არ უნდა გახდეს საჭირო.

– კითხვები ასევე შეეხებოდა საკითხს, მიაწოდა თუ არა „ვილა ალგეთის“ შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს ნოდარ მელაძეს ან ელისო კილაძეს. ამასთან დაკავშირებით მან ასევე დაადასტურა, რომ არც ჟურნალისტებთან და არც სხვა გარეშე პირებთან შემხებლობა არ ჰქონდა. პროკურორის კითხვებზე გიორგიმ ამომწურავი პასუხი გასცა. მას რომელიმე კითხვა პასუხგაუცემელი არ დაუტოვებია, შესაბამისად, არა მგონია, რომ მისი ხელახალი დაბარება გახდეს საჭირო.

სავარაუდოდ, პროკურატურა ფიქრობდა, რომ „ვილა ალგეთზე“ ჟურნალისტებს ინფორმაცია მიაწოდა გიორგიმ და უნდოდათ ამის უარყოფა ან დადასტურება, რაც გიორგი ლუბარეცმა უარყო, – აღნიშნა ვანო ჩიტაშვილმა.

ცნობისთვის, თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. ის 5-დღიანი ძებნის შემდეგ თეთრიწყაროს ტყესთან, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს. ბაჩალიაშვილის საქმეზე გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით დაიწყო, შემდეგ კი ბრალდების კვალიფიკაციას თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი დაემატა.

პროკურატურაში უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის საკითხზე გამოძიება მიმდინარეობს

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში სისხლის სამართლის საქმეზე, უცხო ქვეყნისათვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისკენ მიმართული მოქმედების განხორციელების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით გამოძიება მიმდინარეობს.

უწყების ცნობით, გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო 2020 წლის 17 აგვისტოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის საქმიანობას. თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, კომისიის მიერ საქართველო აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის გარკვეული მონაკვეთები არამართლზომიერად, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული ინტერესების საზიანოდ შეთანხმდა.

„მოცემული ეტაპისთვის გამოძიება, სხვა საკითხებთან ერთად, სწავლობს საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესში მონაწილე საქართველოს სამთავრობო კომისიის ცალკეული ექსპერტების ქმედებების კანონიერებას.

საგამოძიებო უწყების მიერ მიმდინარე წლის 9 სექტემბერს, ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნულ იქნა კარტოგრაფიული ექსპერტიზა, რომელშიც მოქმედ ექსპერტებთან ერთად ჩართული არიან აკადემიური სფეროს წარმომადგენელი მეცნიერები და გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დარგის წამყვანი სპეციალისტები. სისხლის სამართლის საქმეზე გამოიკითხა ათეულობით პირი.

მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს პროკურატურა პერიოდულად მოახდენს საზოგადოების ინფორმირებას გამოძიების შედეგების თაობაზე“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„ელენე ბაშარული ძაღლით ქუჩაზე გადადიოდა და უცბად მანქანა დაეჯახა“

ავარია რუსთავში მსხვერპლით დასრულდა

28 სექტემბერს, საღამოს, რუსთავში ავარია მსხვერპლით დასრულდა.

რუსთაველის ქუჩაზე ავტომობილი ქვეითს დაეჯახა, რის შემდეგაც ადგილიდან მიიმალა.

თვითმხილველის თქმით, გოგონა ძაღლს ასეირნებდა და ის გზაზე გადადიოდა, როდესაც მას მაღალი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი დაეჯახა.

რუსთაველის ქუჩაზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი.

მოგვიანებით გაირკვა დაღუპულის ვინაობა. ის რუსთავის მე-16 სკოლის მოსწავლე, 16 წლის ელენე ბაშარული აღმოჩნდა.

„ამბები“ ელენეს ახლობელს ესაუბრა:

– ელენე რუსთავის ენმ-ს წევრის მარიამ ბაშარულის ბიძაშვილია. გოგონას დედ-მამა არ ჰყავს და მას მარიამი ზრდიდა (ელენე დედამ დაბადებისთანავე მიატოვა, მამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს). მათ შორის ასაკში დიდი სხვაობა არაა, მაგრამ მარიამი ელენეს დედის მაგივრობას უწევდა. თვითონ მარიამს დედა გარდაცვლილი ჰყავდა და ორივე გოგონას მამინაცვალი ზრდიდა. ელენე 22 ივლისს 16 წლის გახდა.

როგორც ვიცით, გოგონა საღამოს ქუჩაში ძაღლს ასეირნებდა და, როდესაც გზაზე გადადიოდა, მას დიდი სისწრაფით მიმავალი ავტომანქანა დაეჯახა. მძღოლის შესახებ არაფერი ვიცით, მიიმალა. გოგონა ადგილზე გარდაიცვალა, სასწრაფოს მოსვლამდე. დაბალი სიჩქარით რომ ემოძრავა, ადგილზე ვერ მოკლავდა ბავშვს.

გუშინ, 29 სექტემბერს, პოლიციამ ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილე მძღოლი დააკავა.

ელიავაზე 15 მაღაზია დაიწვა

„ძალიან საშიში მდგომარეობა იყო“

ელიავას ბაზრობაზე 28 სექტემბერს, გვიან ღამით გაჩენილი ხანძრის შედეგად ხის მასალების საწყობი და რამდენიმე მაღაზია დაიწვა.

დიდუბის რაიონის გამგებლის ირმა ზავრადაშვილის განცხადებით, ელიავას ბაზრობის მეპატრონის თქმით, ბაზრობა, სადაც ხანძარი გაჩნდა, დაზღვეულია. როგორც ირმა ზავრადაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, 28 სექტემბერს, გვიან ღამით, ხანძარი დაახლოებით 1000 კვ.მ.-ზე გავრცელდა.

– დამწვარია დაახლოებით 1000კვ.მ. ეს არის 14-15 მაღაზია. ძალიან საშიში მდგომარეობა იყო იმდენად, რამდენადაც ძირითადად ხისა და პლასტმასის მასალები იყო, თუმცა ლიკვიდაცია მოახდინეს. როგორც მეპატრონე ამბობს, ტერიტორია დაზღვეულია. ხანძრის გამომწვევ მიზეზებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, – განაცხადა ირმა ზავრადაშვილმა.

პარიზიდან ჩამოფრენილი ჟ.ი. თბილისის აეროპორტში დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1978 წელს და 1966 წელს დაბადებული პირები განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დააკავეს.

„სამართალდამცველებმა ჟ.ი. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც ის პარიზი-თბილისის რეისით ჩამოფრინდა. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკისას, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ 330 აბი ამოიღო.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ბ.ლ.-მ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება ჟ.ი.-ს დახმარებით საქართველოში უკანონოდ შემოიტანა. პოლიციამ ბ.ლ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში დააკავა.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

გორის ავტობანზე ნისანის ჯიპი ტრაილერს შეასკდა

2 მამაკაცი დაიღუპა, 2 მძიმედ დაშავდა

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის გორის მონაკვეთზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი ახალგაზრდა მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, ორი კი მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

ავტობანზე მოძრავი ნისანის მარკის ჯიპი ტრაილერს შეეჯახა.

შემთხვევის ადგილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის დეპარტამენტის თანამშრომლები და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები მუშაობდნენ.

შემთხვევის გამო ავტობანის აღნიშნულ მონაკვეთზე დასავლეთ საქართველოდან თბილისის მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა. საპატრულო პოლიცია ავტობანზე მოძრავ მძღოლებს შემოვლითი გზით სარგებლობისკენ მოუწოდებდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

2.065.725 ლარის ყალბი ანგარიშფაქტურებისთვის 4 მეწარმე პასუხისგებაში მისცეს

დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ოთხი მეწარმე პასუხისგებაში მისცეს. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს.

როგორც მათ ინფორმაციაშია აღნიშნული, ბრალდებულებმა უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მათი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიების სახელით, დაამზადეს და გამოიყენეს ჯამში 2.065.725 ლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურების მიწოდების ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურები.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების, ჯგუფურად ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება – გამოყენებისა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ქონების მესაკუთრის მოტყუებით დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, ოთხი მეწარმე პასუხისგებაში მისცეს, რომელთაგან ორი დააკავეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მათი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიების სახელით, დაამზადეს და გამოიყენეს ჯამში 2.065.725 ლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურების მიწოდების ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურები, რითაც შეიქმნეს 313.789 ლარის ოდენობის ფიქტიური აქტივი, საიდანაც ბრალდებულებმა შეძლეს 220.897 ლარის გამოყენება.

გამოძიების ამ ეტაპზე ზიანის ნაწილი 56.033 ლარის ოდენობით ანაზღაურებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 185-ე მუხლების მე-3 ნაწილებითა და 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით“, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შსს-ს თანამშრომლებს არჩევნების უსაფრთხო, თავისუფალ, სამართლიან და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად ტრენინგი უტარდებათ



შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების უსაფრთხო, თავისუფალ, სამართლიან და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და სხვა საპოლიციო ქვედანაყოფების მოსამსახურეებისთვის ონლაინტრენინგი დაიწყო.

ონლაინკურსი აკადემიის ელექტრონული სწავლების პლატფორმის მეშვეობით ხორციელდება და მასში მონაწილეობას 4000-ზე მეტი თანამშრომელი მიიღებს.

ტრენინგის მიზანია სამართალდამცველების ცოდნის გაღრმავება და ცნობიერების ამაღლება, რათა პოლიციელებმა უზრუნველყონ საარჩევნო პროცესში მათზე დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულება, საფრთხეებისა და რისკების დროული გამოვლენა, მათი შეფასება, პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და სამართალდარღვევაზე სწორი რეაგირება.

სწავლების მონაწილეები განიხილავენ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებასა და აღნიშნული ბრძანების თანდართულ ინსტრუქციებს, რომელთა თანახმადაც, საქართველოს რეგიონებში, პოლიციის დეპარტამენტების სამოქმედო ტერიტორიებზე შეიქმნება სამართალდარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის პასუხისმგებელი ჯგუფები. ამასთან, განსაზღვრულია პოლიციელის მიერ პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპის მკაცრად დაცვის ვალდებულება. ტრენინგის მონაწილეებს ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (კოვიდ-19) დაკავშირებულ რეკომენდაციებზე.

მაკრონი ვილნიუსში ტიხანოვსკაიას შეხვდა

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ვინლიუსში ბელარუსის ოპოზიციის ლიდერ სვეტლანა ტიხანოვსკაიას შეხვდა.

როგორც შეხვედრის შემდეგ ტიხანოვსკაიამ განაცხადა, ემანუელ მაკრონი მას დაჰპირდა, რომ ბელარუსის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებში დაეხმარება და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას შეუწყობს ხელს.

– ის დაგვპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის დროს მოლაპარაკებების გამართვისა და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების ხელშეწყობისთვის, – განაცხადა ტიხანოვსკაიამ შეხვედრის შემდეგ.

ემანუელ მაკრონი ორდღიანი ვიზიტით ლიეტუვაში იმყოფება. 28 სექტემბერს მან ბელარუსის ხელისუფლებას უკანონო დაპატიმრებების შეწყვეტისა და საპროტესტო აქციების დროს თვითნებურად დაკავებული დემონსტრანტების გათავისუფლებისკენ მოუწოდა, ვიზიტამდე ერთი დღით ადრე კი განაცხადა, რომ ალექსანდრე ლუკაშენკო უნდა წავიდეს.

სერგეი მირონოვი: „მთიან ყარაბაღში, შესაძლოა, რუსეთმა სამშვიდობო ძალები განათავსოს“

რუსეთის პარტია „სპრავედლივაია როსიას“ ლიდერი სერგეი მირონოვი მიიჩნევს, რომ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ მთიან ყარაბაღში, შესაძლოა, შეყვანილი იყოს რუსეთის სამშვიდობო ძალები.

– ჩემი მხრიდან დავძენ, სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ გარე ძალები – აქ ადვილია მიხვედრა, რომ ეს რაიმე აბსტრაქტული ძალები არ არის, არამედ ნატოს წევრი ქვეყანა, თურქეთი, აშკარად ხელს უწყობს ამ მოძველებული კონფლიქტის გაღვივებას.

მიმაჩნია, რომ რუსეთის მხრიდან სამშვიდობო ძალების შეყვანა საჭირო იქნება მას შემდეგ, რაც მხარეები შეთანხმდებიან ცეცხლის შეწყვეტისა და შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ, – განაცხადა მირონოვმა.

ჩინეთში ბაღის მასწავლებელს 25 ბავშვის მოწამვლისთვის სიკვდილი მიუსაჯეს

ჩინეთის სასამართლომ ბაღის მასწავლებელს, ვანგ იუნს, 25 ბავშვის მოწამვლის გამო სიკვდილი მიუსაჯა.

ვანგ იუნი 2019 წელს დააკავეს, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ქალაქის საბავშვო ბაღიდან ბავშვები ფაფის ჭამის შემდეგ ინტოქსიკაციის სიმპტომებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ვანგ იუნმა სხვა მასწავლებლის ბავშვები შურისძიების მიზნით მოწამლა. მან ნატრიუმის ნიტრატი ბავშვების საუზმეში შეურია.

მოწამლულთაგან ერთ-ერთი ბავშვი საავადმყოფოში ათთვიანი მკურნალობის შემდეგ გარდაიცვალა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მასწავლებელმა მოსწავლე ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანა

ჩინეთის პროვინცია სიჩუანში მათემატიკის მასწავლებელმა დაწყებითი სკოლის მოსწავლე გოგონა ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანა.

ჩინეთში 10 სექტემბერს მასწავლებლის დღეს აღნიშნავენ. ათი წლის გოგონა სკოლაში ყვავილებით მივიდა, რათა თავისი მასწავლებლებისთვის და მათ შორის მათემატიკის მასწავლებლისთვისაც ეს დღე მიელოცა.

თუმცა მათემატიკის გაკვეთილზე გოგონამ ორ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ვერ შეძლო და მასწავლებელმა ის მუხლებზე დააყენა, ყურების აწევა და თავში ცემა დაუწყო. როგორც გოგონას ტყუპისცალმა, რომელიც იმავე კლასის მოსწავლეა, განაცხადა, მან დასჯის შემდეგ ფეხზე წამოდგომა ვეღარ შეძლო და მას თავის ადგილზე დაბრუნებაში თანაკლასელების დახმარება დასჭირდა.

სამი საათის შემდეგ მასწავლებელმა გოგონას ბებიას დაურეკა და მისი სკოლიდან წაყვანა სთხოვა, ვინაიდან, მისი თქმით, ბავშვი ცუდად გამოიყურებოდა. სკოლაში მისულმა ბებიამ ნახა, რომ მისი შვილიშვილი ვერ ლაპარაკობდა და თვალებს ვერ ახელდა. გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა.

ზედამხედველის ფორმაში გადაცმული პატიმარი ციხიდან გაიპარა

ტაილანდში პატიმარი ზედამხედველის ფორმაში გამოეწყო და უპრობლემოდ დატოვა ციხის ტერიტორია.

35 წლის ვიტხიჩაი დაჩასიტხანვანი სასჯელს ძარცვისთვის იხდიდა. საპატიმროდან თავის დასაღწევად, მან ციხის ზედამხედველის ფორმა გადაიცვა, დაიხურა ქუდი და გაიკეთა ნიღაბი. ამის შემდეგ მან ციხე მთავარი გასასვლელიდან დატოვა დაცვის თანამშრომლების თვალწინ. გამოსასწორებელი დაწესებულების თანამშრომლებს, ის თანამშრომელი ეგონათ და მისი შეჩერება არც კი უცდიათ.

მოგვიანებით სამართალდამცავ ორგანოებში რამდენიმე ზარი შევიდა, რომელშიც მოქალაქეები ატყობინებდნენ, რომ საეჭვო მამაკაცი შენიშნეს, რომელიც ციხის მხრიდან შავი ფერის ჰონდას მოტოციკლით გადაადგილდებოდა.

იმავე დღეს პოლიციამ ის მოტოციკლი იპოვა, რომლითაც პატიმარი გაიქცა. მაღე კი თავად გაქცეულიც დააკავეს. ის სიმინდის ყანაში მიტოვებულ სახლში იმალებოდა.

მამაკაცმა ცოლის ღალატი ჭკვიანი ვენტილატორის წყალობით გამოავლინა

აშშ-ის მკვიდრმა ცოლის ღალატს ფარდა მის მობილურ ტელეფონზე დაყენებული ჭკვიანი ვენტილატორისთვის განკუთვნილი დანართის წყალობით ახადა.

მამაკაცმა გადაწყვიტა, ჭკვიანი ვენტილატორის ფილტრისთვის განკუთვნილი დანართი განეახლებინა, რომელიც მეუღლის მობილურ ტელეფონში ჰქონდა დაყენებული. ამ დროს ეკრანზე გამოჩნდა ინფორმაცია შეტყობინების თაობაზე.

– შიგნით ყველაფერი ჩამწყდა, როდესაც წავიკითხე სიტყვები: „თან განსაკუთრებულ სათამაშოს წამოვიღებ. ჩემი ტვინი ტექსტის შინაარსს ხვდებოდა, მაგრამ გონება ფუნქციონირებაზე უარს ამბობდა. ცოლმა მკითხა, თუ რაში იყო საქმე მას შემდეგ, რაც რამდენიმე წუთი უბრალოდ ხმის ამოუღებლად ვიჯექი და ვენტილატორს მივჩერებოდი, – იხსენებს მამაკაცი.

მან არაფერი უთხრა მეუღლეს და რამდენიმე დღე სწავლობდა მის ტელეფონზე შემოსულ შეტყობინებებს. საბოლოოდ ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცოლი, რომელთანაც 17 წლის ქორწინება აკავშირებდა, უკვე 18 თვეა დაოჯახებულ კოლეგასთან ღალატობდა.

ქმარმა შეტყობინებების და ეროტიკული გამოსახულებების 600 გვერდი შეაგროვა, რომელსაც საყვარლები ერთმანეთს უგზავნიდნენ.

– მასში მინიმუმ 15 ათასი შეტყობინება იყო და ყველაზე ადრეული გასული წლის თებერვლით თარიღდება. სამი დღის წინ, ჩემ გვერდით რომ იწვა და დაძინების წინ ზურგზე ხელს მისვამდა, მას შეტყობინებას წერდა, – ამტკიცებს მამაკაცი.

– ის ახალგაზრდა მამაკაცია, მისი თანამშრომელი. დაოჯახებულია, სამი პატარა შვილი ჰყავს. მას და მის ცოლს გვერდი აქვთ ფეისბუქში. მას ორჯერ შევხვდი და ხელი ჩამოვართვი. ძალიან მინდა, რომ ეს ყოველივე უბრალოდ ცუდი სიზმარია. ჩემი ცოლი მას ჩემზე საშინელებებს უყვებოდა, ეუბნებოდა, რომ არასაიმედო ვარ და რომ მას ის უყვარს, – ამბობს მოტყუებული ქმარი.

საკუთარ ადვოკატთან გასაუბრების შემდეგ, მამაკაცმა ცოლს ყველაფერი უთხრა და აცნობა, რომ განქორწინებაზე შეაქვს განცხადება. მან აღნიშნა, რომ მადლობელია ვენტილატორის მწარმოებლის და ნათესავის, რომელმაც ის შობის დღესასწაულზე აჩუქა.

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ჯემალ ჭკუასელს უკვდავების თაღში ანაბეჭდი გაუხსნეს

ქართველ მომღერალსა და ლოტბარს, ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელს ჯემალ ჭკუასელს ხელოვნების სასახლის უკვდავების თაღში ხელის ანაბეჭდი გაუხსნეს.

ღონისძიება ხელოვანის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა. ამავე დღეს ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა ჯემალ ჭკუასელის შემოქმედების ამსახველი წიგნი, ხელოვნების სასახლეში შედგა მისი პრეზენტაცია, სპეციალურად ამ დღისთვის ფოლკლორის ცენტრმა მოიძია და წარმოადგინა ლოტბარის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული ქართული სიმღერების აუდიო და ვიდეო მასალები. საიუბილეო საღამოზე ანსამბლებმა „ერისიონმა“ და „რუსთავმა“ რამდენიმე სიმღერა და ცეკვა შეასრულეს.

უძველესი ისტორიისა და დიდი ტრადიციის მქონე სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონს“ წელს 135 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ხელოვნების სასახლეში ერთი თვის განმავლობაში გამოიფინება მერაბ ბერძენიშვილის მიერ ანსამბლისთვის შექმნილი სასცენო კოსტიუმები და წარმოდგენილი იქნება ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში „ერისიონის“ გასტროლების ამსახველი აფიშები, ასევე „ოქროს დისკი“, რომელიც ანსამბლს 2002 წელს პარიზში გადაეცა.

ჯემალ ჭკუასელის საიუბილეო საღამო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერითა და საქართველოს ხელოვნების სასახლის ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებებს დაესწრნენ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, ფონდ „ქართული გალობის“ ხელმძღვანელი ვანო ჩხარტიშვილი, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრები.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ჯემალ ჭკუასელს 85 წლის იუბილე მიულოცა, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მადლობა გადაუხადა და ჯანმრთელობა უსურვა:

– მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა, მივულოცო ქართული ტრადიციული კულტურის, ქართული სიმღერისა და ცეკვის წინაშე ფასდაუდებელი ღვაწლის მქონე ადამიანს, დიდ ლოტბარს, ბატონ ჯემალ ჭკუასელს 85 წლის იუბილე. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ბატონი ჯემალ ჭკუასელი უკვე სამ ათწლეულზე მეტი ხანია, უძველესი ისტორიისა და დიდი ტრადიციის მქონე ანსამბლ „ერისიონს“ წარმატებით ხელმძღვანელობს.

მინდა, ერთი სასიხარულო ამბავი გამცნოთ: სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს ფოლკლორის ცენტრის მიერ 2021 წელს ქალაქ ოზურგეთში დაფუძნდება ბატონი ჯემალ ჭკუასელის სახელობის ყოველწლიური მუსიკალური კონკურსი-ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საოჯახო ანსამბლები საქართველოს ყველა კუთხიდან. კონკურს-ფესტივალის გამარჯვებულს ჟიურის მიერ მიენიჭება ლაურეატის წოდება.

ჩვენი გუნდი ყოველთვის იდგება ისეთი ადამიანების გვერდით, რომლებმაც ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასა და საზოგადოების სულიერ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალმა თავის უფროსს ყავაში სარეცხი საშუალება ჩაუყარა

დიდ ბრიტანეთში ქალმა თავის უფროსზე შური იმით იძია, რომ მის ყავაში სარეცხი საშუალება შეურია.

ორივე ქალი ლონდონის რკინიგზის სადგურზე მუშაობდა და მათ შორის დიდი ხანია დაძაბული ურთიერთობა იყო. მორიგი კამათის შემდეგ 32 წლის წარმოშობით რუმინელმა დამლაგებელმა ავრორა იაკომიმ გადაწყვიტა, თავის უფროს ანგელინა რაიჩინოვაზე შური ეძია. მან იმით ისარგებლა, რომ უფროსმა დამლაგებლებისთვის განკუთვნილ ნაგებობაში თავისი ყავის ფინჯანი დატოვა და მასში სარეცხი საშუალება ჩაასხა, რომელიც იატაკიდან საღეჭი რეზინის მოსაშორებლად გამოიყენება.

უკან დაბრუნებულმა ანგელინამ ფინჯანიდან ყავა მოსვა და მას შემდეგ, რაც პირში წვა იგრძნო, სასმელი უკანვე გადმოაფურთხა. ავროორას მხილება სათვალთვალო ვიდეოკამერის წყალობით მოხერხდა. ვიდეოჩანაწერმა აჩვენა, რომ დამლაგებელი იყო ერთადერთი, რომელიც ოთახში იმ დროს შევიდა, როდესაც უფროსი იქ არ იმყოფებოდა. სასამართლოზე მან განაცხადა, რომ უბრალოდ უფროსის გათამაშება სურდა. სასამართლომ დამლაგებელს ათი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველო დაირაზმა — ევროპამდე ორი ნაბიჯია

8 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებს თბილისში უმნიშვნელოვანესი მატჩი ელოდება – ერთა ლიგის დ დივიზიონის ნახევარფინალი ბელარუსთან, რომელიც 26 მარტის შემდეგ რამდენიმეჯერ იქნა ჩანიშნული.

ეს მატჩი ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად ნახევარფინალურია, მოგების შემთხვევაში, ნოემბერში ჩრდილოეთ მაკედონიასა და კოსოვოს შორის უმჯობესს ისევ თბილისში ვუმასპინძლებთ.

ჩრდილოეთ მაკედონია ერთა ლიგის ც დივიზიონშიც ჩვენთან არის, ერთი თვის წინ თბილისში ვუმასპინძლეთ და ფრედ, 1:1 ვეთამაშეთ. საპასუხოდ, 14 ოქტომბერს უნდა ვესტუმროთ, სამი დღით ადრე კი, 11 ოქტომბერს, ერევანში, სომხეთთან უნდა ჩავიდეთ.

უეფას აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, თუ ერთა ლიგის ნახევარფინალში ბელარუსის ან საქართველოს ნაკრები მატჩზე მინიმუმ 13 ფეხბურთელით არ გამოცხადდება, შეხვედრა 2021 წლის მაისში ან ივნისში ჩატარდება. ცხადია, კორონავირუსის გავრცელების პირობებში ამ სახის საფრთხე არსებობს და ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ აღნიშნული გადაწყვეტილება არსებული რეალობიდან გამომდინარე მიიღო, რაც ნიშნავს იმას, რომ რომელიმე გუნდს ტექნიკური წაგება არ ჩაეთვლება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ცვლილებებს შეეხება. საქართველოსა და ბელარუსის ნახევარფინალურ შეხვედრაში მთავარ მწვრთნელებს 5 ცვლილების განხორციელების უფლება ექნებათ, რაც გადატვირთული გრაფიკის გამო ფეხბურთელთათვის ტრავმების არიდებით აიხსნება.

მომავალი მატჩებისთვის ვლადიმირ ვაისმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. სლოვაკმა 29 ფეხბურთელს უხმო. საბოლოო გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებს.

ვაისის რჩეულთა შორის მოხვდნენ:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (ალმერია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

მცველები: გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), ოთარ კაკაბაძე (ტენერიფე, ესპანეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი), სოლომონ კვერკველია (როტორი, რუსეთი), ნიკა მალი (საბურთალო), მამუკა კობახიძე (დინამო ბთ), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), გიორგი აბურჯანია (ოვიედო, ესპანეთი), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (კონიასპორი, თურქეთი), საბა ლობჟანიძე (ანკარაგუჯიუ, თურქეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (როტორი, რუსეთი), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია, თორნიკე ოქრიაშვილი (ორივე ანორთოსისი, კვიპროსი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ელგუჯა ლობჟანიძე (კაისარი, ყაზახეთი), ნიკა კაჭარავა (ლეხი, პოლონეთი).

შეგახსენებთ იმასაც, რომ ც ლიგაში საქართველოს ნაკრებმა ესტონეთი სტუმრად ნიკა კაჭარავას გოლით დაამარცხა, შემდეგ კი „დინამო არენაზე“ ჩრდილოეთ მაკედონიასთან 1:1 ითამაშა და მასთან ერთად ჯგუფს ლიდერობს.

დელ პიერო იუვენტუსს აფრთხილებს

ალესანდრო დელ პიერო ყოფილ კლუბს, ტურინის იუვენტუსს ყურადღებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლაში „ბებერ ქალბატონს“ 2 სერიოზული კონკურენტი ჰყავს.

ალესანდრო დელ პიერო:

– ლაციო ძლიერი გუნდია, მაგრამ 2 ფრონტზე ბრძოლა მოუწევს, რასაც იტალიის თასზე გამოსვლაც ემატება. შესაბამისად, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში რომაელებზე უფრო რეალურ კანდიდატებად ატალანტა და ინტერი უნდა ჩაითვალონ. ბერგამოელები უკვე მომწიფდნენ და აქვთ საკმარისი თავდაჯერება, რომ სკუდეტოსთვის პრეტენზია გამოაცხადონ. გვახსოვს, გასულ სეზონში იუვესთან სტუმრად ნათამაშები ფრეთი უკმაყოფილო იყვნენ, რაც გუნდის მენტალიტეტზე ნათლად მეტყველებს. ინტერის თამაში ფიორენტინასთან ვნახეთ და ვიცით, რომ ამ გუნდს ძალიან ღრმა შემადგენლობა ჰყავს. ყველამ შევნიშნეთ, როგორი გარდატეხა შეიტანა თამაშში კონტეს მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა.

შეგახსენებთ, იტალიის სერია ა-ს 2 ტურის შემდეგ 6-6 ქულა ნაპოლის, მილანსა და ვერონას აქვთ, თუმცა ატალანტამ, ლაციომ და ინტერმა თითო თამაში ჩაატარეს და მათ აქტივშიც ქულათა მაქსიმუმია. იუვენტუსმა კი 2 მატჩში 4 ქულა აიღო.

ზურიკო დავითაშვილი: „საქართველო ჩემი სამშობლოა“

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ზურიკო დავითაშვილი ყაზანის რუბინის საკუთრებაა, მაგრამ იჯარის წესით ვოლგოგრადის როტორში თამაშობს. ქართველი ფეხბურთელი, რომელიც ბელარუსთან მნიშვნელოვანი მატჩისთვის არის გამოძახებული, რუსულ მედიას ესაუბრა.

– რუბინის საკუთრება ხარ, მაგრამ იჯარით წასვლა მოგიწია. რატომ მოხდა ასე?

– ასე გადაწყვიტეს, რათა უფრო მეტი სათამაშო დრო მქონოდა. რუბინის მთავარ მწვრთნელ ლეონიდ სლუცკისთან კარგი ურთიერთობა მაქვს და ჩვენ შორის არანაირი პრობლემა არ არსებობს. მან მითხრა, რომ ისევ მელოდება. სლუცკი ძალიან მხიარული მწვრთნელია. მისი მუშაობის მეთოდები გუნდს აბედნიერებს.

– სლუცკიმდე და რომან შარონოვამდე რუბინში ყურბან ბერდიევი მუშაობდა, რომელმაც მიგიწვია ყაზანში. როგორ დაგამახსოვრდა ბერდიევი?

– ძალიან ძლიერი სპეციალისტია. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, მემუშავა ისეთ გამოცდილ მწვრთნელთან, როგორიც ბერდიევია.

– თუ შევადარებთ ბერდიევსა და სლუცკის, რომელთან ჯობია მუშაობა – მხიარულ სლუცკისთან თუ მრისხანე ბერდიევთან?

– ორივე ძალიან მაღალი დონისაა. სამწუხაროდ, ბერდიევთან ძალიან ცოტა ხანი მომიწია ყოფნა. ის ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტია, ვისთანაც მიმუშავია.

– რუბინში დარჩა შენი თანატოლი ხვიჩა კვარაცხელია, რომელიც გასულ სეზონში წლის საუკეთესო ახალგაზრდად დაასახელეს.

– ხვიჩას დიდი ხანია, ვიცნობ, ბავშვობიდან. ჯერ კიდევ თბილისის დინამოს აკადემიაში ერთად ვთამაშობდით. ახლა კვარაცხელიას თამამად შემიძლია ვუწოდო ქართველი მესი. მოსკოვის ლოკომოტივმა უდიდესი შეცდომა დაუშვა, როდესაც არ დაიტოვა.

– როგორც ვიცით, პანდემიის დროს რუსეთში კვარაცხელიასთან ერთად მანქანით დაბრუნდით. როგორი იყო ასეთი მოგზაურობა?

– დიახ, მანქანით ჩამოვედით. სიმართლე გითხრათ, ძალიან რთული იყო, რადგან გზები იდეალური არ იყო. ჯერ ვლადიკავკაზში ჩავედით და საშინელ გზაზე ვიარეთ. ამას დაემთხვა თოვლი, გზა დაიკეტა. მოგვიწია ერთი დღე სასტუმროში დარჩენა, საიდანაც გადავფრინდით ყაზანში.

– ქართველები როტორშიც ბლომად არიან, თუმცა ჯანო ანანიძე გუნდიდან ისე წავიდა, ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია. როგორც ფიქრობ, ამ ტრავმების შემდეგ ჯანო კარიერას თავს დაანებებს?

– არა. ვფიქრობ, ჯანო კიდევ ითამაშებს უმაღლეს დონეზე.

– როტორშია გამოცდილი საბა კვირკველიაც. მანამდე იცნობდით ერთმანეთს?

– კი, როტორამდეც ვიცნობდით ერთმანეთს. საბა ძალიან კარგი ფეხბურთელია. ლოკომოტივის საქციელი აქაც მიკვირს – როგორ არ დაიტოვა კვირკველია...

– მოსკოვის ცსკა-ში თორნიკე შენგელიას გადასვლამ საქართველოში დიდი რეზონანსი გამოიწვია. რას ფიქრობ იმ ნეგატიურ გამონათქვამებზე, რომლებიც მის მიმართ იყო?

– ჩემთვის გაუგებარია. საკუთარ თავზე ვიტყვი – რუსულ კლუბში გადასვლაზე არანაირი პრობლემა არ მქონია.

– 2008 წლის ომმა დიდად შეცვალა საქართველო?

– დიახ. ომი ძალიან ცუდია.

– საქართველო და რუსეთი რომ შეადარო, სად უფრო კომფორტულია ცხოვრება?

– საქართველო ჩემი სახლია და კომფორტულად თავს ჩემს ქვეყანაში უფრო ვგრძნობ, თუმცა არც რუსეთში მიჭირს. მომწონს ქვეყანაც და ფეხბურთიც.

შედეგები

28 სექტემბერი
ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიერიგა

ფულემი-ასტონ ვილა 0:3
ლივერპული-არსენალი 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლესტერი	3	3	0	0	12-4	9
2.ლივერპული	3	3	0	0	9-4	9
3.ევერტონი	3	3	0	0	8-3	9
4.ასტონ ვილა	2	2	0	0	4-0	6
5.არსენალი	3	2	0	1	6-4	6
6.კრ.პალასი	3	2	0	1	5-3	6
7.ლიდსი	3	2	0	1	8-7	6
8.ტოტენჰემი	3	1	1	1	6-4	4
9.ჩელსი	3	1	1	1	6-6	4
10.ნიუკასლი	3	1	1	1	3-4	4
11.ვესტ ჰემი	3	1	0	2	5-4	3
12.ბრაიტონი	3	1	0	2	6-6	3
13.სიტი	2	1	0	1	5-6	3
14.მანჩესტერი	2	1	0	1	4-5	3
15.საუთჰემპტონი	3	1	0	2	3-6	3
16.ვულვზი	3	1	0	2	3-7	3
17.ვესტ ბრომვიჩი	3	0	1	2	5-11	1
18.ბარნლი	2	0	0	2	2-5	0
19.შეფილდი	3	0	0	3	0-4	0
20.ფულემი	3	0	0	3	3-10	0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

პადერბორნი-ჰამბურგი 3:4

იტალია. სერია ა

ბოლონია-პარმა 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	2	2	0	0	8-0	6
2.მილანი	2	2	0	0	4-0	6
3.ვერონა	2	2	0	0	4-0	6
4.სასუოლო	2	1	1	0	5-2	4
5.იუვენტუსი	2	1	1	0	5-2	4
6.ატალანტა	1	1	0	0	4-2	3
7.ლაციო	1	1	0	0	2-0	3
8.ინტერი	1	1	0	0	4-3	3
9.ბოლონია	2	1	0	1	4-3	3
10.ბენევენტო	1	1	0	0	3-2	3
11.ფიორენტინა	2	1	0	1	4-4	3
12.ჯენოა	2	1	0	1	4-7	3
13.კალიარი	2	0	1	1	1-3	1
14.რომა	2	0	1	1	2-5	1
15.უდინეზე	1	0	0	1	0-1	0
16.ტორინო	2	0	0	2	2-5	0
17.სპეცია	1	0	0	1	1-4	0
18.სამპდორია	2	0	0	2	2-6	0
19.პარმა	2	0	0	2	1-6	0
20.კროტონე	2	0	0	2	1-6	0

საფრანგეთი. ლიგა 2

ტრუა-კლერმონი 1:0

პორტუგალია. პირველი ლიგა

ბელენენსეში-ფამილიკაო 1:2

ხესეთი. პირველი ლიგა

ხიმკი-დინამო 1:0

ბელგია. ა დივიზიონი

გენკი-ოსტენდე 2:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლარისა-პანათინაიკოსი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-დენიზლი 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

სტალი-პიასტი 3:2

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ლუნგბიუ 4:1

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-მილაბი 1:0
კალმარი-ვარბერგი 1:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ინტერი-ლახტი 3:0
სეინეიოკი-ჰიფკი 3:2
ჰიკი-როვანიემი 4:0

მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ქეთევან მზარელუას ხსოვნას!

ვიზიარებთ და თანავუგრძნობთ მწუხარებაში შვილებს მზიას, ნონასა და ირმას ოჯახებით საყვარელი, კეთილშობილი, გულისხმიერი, ჰუმანური დედის

ქეთინო მზარელუას

გარდაცვალების გამო!

ნათელში გამყოფოს უფალმა უსაყვარლეს შვილიშვილ ლექსოსთან, მეუღლე აბესალომთან და სიძე თენგოსთან ერთად!

ბიძაშვილები კუსუნა და გოჩა მზარელუები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მარჯვე, ეფექტური ილეთი; 2. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 3. შვედი კინორეჟისორი; 4. გაგრის ძველბერძნული სახელწოდება; 8. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 9. შენობის საყრდენი კოლონა ქალის ქანდაკებით; 11. პარიზის ძველი სახელწოდება; 12. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 14. ბრიტანული არაყი; 16. პატარა პროზაული ნაწარმოები; 17. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 19. წყალი მყარ მდგომარეობაში; 21. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი.

თარაზულად: 5. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 6. ხევსურული ტანსაცმელი; 7. ფსონების ამკრეფი ტოტალიზატორში; 10. ბადრიჯნითა და პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 13. ლითონდამამუშავებელი, ჩარხზე მომუშავე ოსტატი; 15. მეხსიერების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა; 18. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო სასმელი; 20. ძველებური აჭარული საქორწილო-სანახაობითი წარმოდგენა; 22. ხორცის მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 23. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 24. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დათვები; 2. მაიოლიკა; 3. დისპუტი; 5. აბორდაჟი; 7. ათაბაგი; 9. მაჭანკალი; 13. მოურავი; 15. ყადაღა; 16. დიდუბე; 18. ტვიში.

თარაზულად: 4. სარკაზმი; 6. გვასალია; 8. ღვინობისთვე; 10. ურბნისი; 11. ჭოტი; 12. იგუანა; 14. წყალი; 17. აკიდო; 19. ოდიში; 20. ზურმუხტი; 21. იუტა; 22. საწნახელი; 23. ვიმპელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტეკილა; 2. ყანჩელი; 3. მისისიპი; 4. პლაგიატი; 8. კოლექტორი; 9. სკაგერაკი; 11. ცემენტი; 12. შუნი; 14. ჟიგა; 16. ყაბალახი; 17. ლანჩხუთი; 19. ბურახი; 21. ოდესა.

თარაზულად: 5. სინოპეკი; 6. ანასეული; 7. ველასკესი; 10. ჭიბონი; 13. პუანტი; 15. ინჟენიუ; 18. იადონი; 20. ლიკანი; 22. ბურგუნდია; 23. ახალციხე; 24. ესპანეთი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 3.3203
- ევრო — 3.8708
- დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2819
- 100 რუსული რუბლი — 4.2140

ამინდის პროგნოზი 30 სექტემბრისათვის

მესი: „ანსუ ფატი ბარსელონის მომავალია“



ბარსელონის კაპიტანმა ლიონელ მესიმ ახალგაზრდა ფორვარდ ანსუ ფატიზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ძალიან უხარია ფატის წარმატებები და ფიქრობს, რომ ის ბარსელონის მომავალია.

მესის აზრით, უკვე წლევანდელ სეზონში ფატი ყველას დაუმტკიცებს თავის შესაძლებლობებს:

– როდესაც ფატის თამაშს ვუყურებ, ვხვდები, რომ მას ძალიან დიდი პოტენციალი აქვს და მისი შეჩერება მეტოქე გუნდის მცველებს ძალიან უჭირთ. დარწმუნებული ვარ, ანსუ ბარსელონის გულშემატკივარს მრავალი წლის განმავლობაში გაახარებს.

ედენ აზარმა ტრავმა მოიშუშა

მადრიდის რეალის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა ტრავმა მოიშუშა და ის მზად არის სათამაშოდ, თუმცა უცნობია, გარისკავს თუ არა ზიდანი უახლოეს მატჩში მის გამოყვანას.

აზარს მუხლის სერიოზული ტრავმა ჰქონდა და ამის გამო საკმაოდ დიდი პერიოდი გაუცდა. თვითონ ფეხბურთელმაც განაცხადა, რომ მას ძალიან სურს მოედანზე დაბრუნება და იმედი აქვს, რომ ტრავმას აღარ მიიღებს.

ბოლო შეხვედრა აზარმა აგვისტოში მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ ჩაატარა.

ანეკდოტი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– პირველი რა გახსოვს ამ ცხოვრებაში?

– გინეკოლოგის კეთილი თვალები, ერთ თვეში კი დავიბადე...

●●●

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– გოგი, რატომ მოიყვანე სკოლაში კატა?

– იმიტომ, რომ ღამით გავიგონე, მამამ როგორ უთხრა დედას: „ამ ფისუნიას შეგიჭამ, როგორც კი ბავშვი სკოლაში წავა“.

●●●

სამი მამაკაცი რკინიგზის სადგურში დაძრულ მატარებელს მისდევს, ორმა შეხტომა მოახერხა. მესამე კი დარჩა და სიცილი აუტყდა. სადგურის მორიგე ეკითხება:

– რა გაცინებთ?

– ის ორი, მე მაცილებდა მატარებელზე!

●●●

საავადმყოფოში მიყვანილ მამაკაცს ყბები დამტვრეული, ხელები ამოვარდნილი, ფეხები მოტეხილი აქვს. ექიმი ეკითხება:

– ავარიაში მოყევით?

– არა, კარადაში ვიჯექი და ცხვირი დავაცემინე...

●●●

ავტობუსში ქალი მამაკაცს ეუბნება:

– იქით გასწიეთ თქვენი ძაღლი, თორემ სხეული რწყილებით გამევსო.

– ყურშა, გამოდი აქეთ, თორემ ამ ქალისგან რწყილები აგაცოცდება!!!

ნიკოლოზ წულუკიძე ბიჭის მამა გახდა

თეატრმცოდნე და ტელეწამყვანი ნიკოლოზ წულუკიძე ბიჭის მამა გახდა.

პატარა 29 სექტემბერს გაგუას კლინიკაში დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ახალშობილს მშობლებმა კიტა დაარქვეს.

ნიკოლოზ წულუკიძესა და თეკლა კოსტავას უფროსი შვილი გოგონა – სესილია ჰყავთ, რომელიც პირველკლასელია და ძამიკოს განსაკუთრებული სიხარულით ელოდებოდა.

ლია სტურუა ტრანსპოეზიის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას

ქართველი პოეტი ლია სტურუა მწერალთა სახლის ხელშეწყობით 2020 წლის ტრანსპოეზიის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

ფესტივალის ფარგლებში, ლია სტურუას ლექსი დაიბეჭდა ბრიუსელის მეტროს ვაგონებში ქართულ, ფრანგულ და ჰოლანდიურ ენებზე.

ლექსი ჰოლანდიურ ენაზე თარგმნა ინგრიდ დეხრავემ, ფრანგულ ენაზე კი – ბაჩანა ჩაბრაძემ.

30 სექტემბერს ქართველი პოეტი პოეზიის საღამოში ბასკ, ჩეხ, ფინელ, ჩრდილოირლანდიელ და ესპანელ პოეტებთან ერთად მიიღებს მონაწილეობას.



ტარიელ ხარხელაურს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია მიანიჭეს

პოეტ ტარიელ ხარხელაურს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია მიანიჭეს.

სასიხარულო ინფორმაცია რეჟისორმა მაია ბურდულმა გაავრცელა:

– ბატონ ტარიელს ვულოცავთ გალაკტიონის სახელობის პრემიას.

„მასტერშეფის“ საუკეთესო თორმეტეული ცნობილია

კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ მეოთხე სეზონის საუკეთესო თორმეტეული ცნობილია. მათგან სამმა შოუს ჟიურის კონსტანტინე თედელურის, ლუკა ნაჭყებიასა და ლევან კობიაშვილისგან ოქროს წინსაფარი მიიღო.

ნიკუშა მანაგაძე, ლადო დანელია, ნანუ მაცაბერიძე, გაიანე კარაპეტიანი, ლუკა თოდუა, ნატალია ჩხეიძე, დავით ცაცანაშვილი, მირიან სულაკაური, ლადი დანელია, ირაკლი მაკასარაშვილი, გურო ბეგლარიშვილი, მარიამ კობახიძე – ეს კონკურსანტები, „მასტერფშეფის“ ჟიურის გადაწყვეტილებით, საუკეთესოები არიან. მთელი საქართველოს მასშტაბით შერჩეულ კონკურსანტთა შორის საუკეთესოებს სჯერათ, რომ შოუს მთავარ პრიზს აუცილებლად მოიგებენ.



გადაცემა „პროფილი“ ბრუნდება

მაია ასათიანის გადაცემა „პროფილი“ ახალ სატელევიზიო სეზონს იწყებს.

8 ოქტომბრიდან ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში მაია ასათიანი ტრადიციულად ყოველ ხუთშაბათს კვლავ მოიწვევს სტუმრებს და მაყურებლისთვის საინტერესო თემებზე ისაუბრებს.

ინტერნეტში უკვე განთავსდა „პროფილის“ ახალი სატელევიზიო სეზონის სარეკლამო ვიდეო, რომელმაც ათასობით მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

გია ჯაჯანიძე სპექტაკლში ითამაშებს

ფსიქოლოგი და ტელეწამყვანი გია ჯაჯანიძე სპექტაკლში ითამაშებს.

„ნიჭიერის“ წამყვანი ქორეოგრაფმა გია მარღანიამ თავის ახალ პროექტში მთავარ როლში მიიწვია.

ინფორმაცია გია ჯაჯანიძემ თავად გაავრცელა:

– ვიცი, გაგიხარდებათ, ჩემკენ სიახლეა. ვთამაშობ სპექტაკლში ერთ-ერთ მთავარ როლს. რეჟისორი და ქორეოგრაფი ბატონი გია მარღანიაა. აუცილებლად შეგატყობინებთ. მალე პრემიერა იქნება. ძალიან მიხარია.

სანდრო კვაჭაძე: „ტელევიზიებმა უნდა ისწავლონ ჩვენი შრომის დაფასება“

მუსიკოსი და მომღერალი სანდრო კვაჭაძე მიიჩნევს, რომ სატელევიზიო გადაცემებში შემოქმედის გაჟღერება ანაზღაურებადი უნდა იყოს:

– მუსიკოსები ვერთიანდებით და ვთანხმდებით, რომ დილისა თუ დღის სატელევიზიო გადაცემაში მუსიკოსის/არტისტის იქ სტუმრობა და თავისი შემოქმედების გაჟღერება უნდა იყოს ანაზღაურებადი!

არტისტი მსგავსი ტიპის გადაცემით ვერც მაღალი ხარისხის ჩანაწერს იღებს, ხოლო მეორე მხრივ კი კარიერული წინსვლისთვის უკვე ბევრი უკეთესი საშუალება არსებობს, ამიტომ ტელევიზიებმა უნდა ისწავლონ ჩვენი შრომის დაფასება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კოუტინიო: „ვილიარეალთან ჩემს პოზიციაზე ვითამაშე“

ბარსელონის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფელიპე კოუტინიომ ვილიარეალის წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მან იმ პოზიციაზე ითამაშა, სადაც თავს ყველაზე კომფორტულად გრძნობს.

კოუტინიოს თქმით, მისი კარგი თამაში სწორედ ამით იყო გამოწვეული:

– მინდა, მადლობა გადავუხადო კუმანს, რადგან მან ჩემს პოზიციაზე მათამაშა. მინდა, რომ ყოველთვის შემტევი ნახევარმცველი ვიყო, რადგან ამ პოზიციაზე თავს კომფორტულად ვგრძნობ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 სექტემბრისათვის

ფერძი – სავარაუდოდ, გეგმები შეგეცვლებათ. შესაძლოა, ახალი მოვალეობებიც დაგეკისროთ. **კურო** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თუმცა დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დააღწევთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. სირთულეები შეგექმნებათ ხელმძღვანელობასთან და მეგობრებთან ურთიერთობაში. **კირჩხიბი** – ყურადღების ცენტრში სამსახურებრივი პრობლემები ექცევა. დღის მეორე ნახევარი სახლში გაატარეთ. **ლომი** – გუნება-განწყობას არასასიამოვნო ინფორმაცია გაგიფუჭებთ. თავს დასვენებისა და მოდუნების უფლება მიეცით. **ქალწული** – შრომისუნარიანობა ქვეითდება. ეცადეთ, ადრე დაწყებული საქმეები მაინც დაამთავროთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანაცალი** – მოაწესრიგეთ დოკუმენტები. დამშვიდდით და მოდუნდით. მთლიანობაში, პასიური დღეა. **მეჯინღოსანი** – ერიდეთ ინტიმურ ურთიერთობებს. დათრგუნეთ სიამაყე. **თხის რქა** – სანამ მოქმედებას დაიწყებთ, სიტუაცია საგულდაგულოდ გააანალიზეთ. ინდივიდუალური მუშაობა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **თევზები** – მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, შინაგანად დაძაბული და აფორიაქებული ხართ. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. ქალაქი იმერეთში; 2. ებრაელთა მოყვარული ადამიანი; 3. ყვავილოვანი კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობა; 5. გერმანელი ექიმი, თეოლოგი, მუსიკათმცოდნე, მისიონერი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. უტიფარი, ურცხვი, მოურიდებელი ადამიანი; 9. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 13. ქართველი მწერლის ალექსანდრე ჩოფიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 15. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 16. პოლიგრაფიული საწარმო; 18. ხორცის შესაწვავი მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი.

თარაზულად: 4. კახეთში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 6. თბილისში მშრალი ხიდის პროექტის ავტორი, იტალიელი არქიტექტორი; 8. ქიზიყის ძველი სახელწოდება; 10. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 11. პროვინციის მმართველი თურქეთში; 12. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისათვის ძველ საბერძნეთში; 14. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 17. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 19. ჩინური ფინიკი; 20. გონებასუსტი ადამიანი; 21. ჯიხვების ჯოგი; 22. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 23. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა